USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

ICCN

MERCY CORPS

ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი
ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT

2015 - 2016

BROADENING HORIZONS: IMPROVED CHOICES FOR
Professional and Economic Development for Women and Girls

ანგარიში მომზადდა "კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის" (ICCN) მიერ, მერსი ქორფსთან თანამშრომლობით ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

The report is prepared by the "International Center on Conflict and Negotiation", (ICCN) in partnership with Mercy Corps, through the generous support of the American People, funded by United States Agency for International Development (USAID).

ანგარიშის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ICCN და მერსი ქორფსი. ის შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

The content is the responsibility of ICCN and Mercy Corps and does not necessarily reflect the view of USAID, the United States Government.

2015-2016

ორგანიზაციების შესახებ

კონფლიქტების და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) არის დამოუკიდებელი, არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია.
ICCN, ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის და სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღების კონტროლის ცენტრის ორგანიზაციული მხარდაჭერით 1994 წელს დაარსდა.
ICCN-ის დაარსების მიზანი იყო მშვიდობის მშენებლობის ხელშეწყობა და პოსტ-ტოტალიტარული დაყოფილი საზოგადოების არსებობის პერიოდში, საქართველოზე ფოკუსირებით, კავკასიის რეგიონში კონფლიქტების პრევენცია და მოგვარება.
მომდევნო წლებში ნათელი გახდა, რომ ამ მიზნების მიღწევა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, ადამიანის უფლებების დაცვისა და სხვა მნიშვნელოვან აქტორებთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იყო.
ICCN კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციაა.
მთავარი გრძელვადიანი მიზნებია:

- ✓ დემოკრატიის გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა;
- ✓ მშვიდობის მშენებლობა და კონფლიქტების პრევენცია/მართვა;
- ✓ ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა და გენდერული თანასწორობა;
- ✓ ორგანიზაციის მდგრადი განვითარება.

ICCN-ს აქვს პროფესიული გამოცდილება სამეცნიერო კვლევასა და ანალიზში, რომელიც მოიცავს რეგიონული უსაფრთხოების კვლევებს, სოციოლოგიურ გამოკითხვებს და წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე საზოგადოების აზრის შესწავლას, გენდერულ თანასწორობაზე დაყრდნობით ადამიანის უფლებებზე ფოკუსირებას, უმცირესობათა, დევნილებისა და ლტოლვილების უფლებების, ასევე, მიგრაციის საკითხების კვლევას, მშვიდობის მშენებლობას განათლების საფუძველზე, სამშვიდობო კამპანიებს, მედიას და საჯარო აქტივობებს, საერთაშორისო გამოცდილებას და კავშირებს.
ICCN-ი აქტიურ როლს თამაშობს საქართველოსა და კავკასიაში მშვიდობის მშენებლობასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.
ICCN –ის ძირიადი საქმიანობა:

- ✓ კონსულტირება
- ✓ ფასილიტაცია/მედიაცია.
- ✓ სოციოლოგიური კვლევები;
- ✓ აზრის გამოკითხვა, კონტენტანალიზი;
- ✓ მონიტორინგი და საექსპერტო შეფასება;
- ✓ კონფერენციები, სემინარები, მრგვალი მაგიდები, ტრენინგები.

როგორც ორგანიზაციის მიერ შერჩეულ სამიზნე ჯგუფებთან ისე დაინტერესებული საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად.

მერსი ქორფსი (Mercy Corps) საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციაა. ის 1979 წელს დაარსდა და დახმარებას უწევს ადამიანებს მთელს მსოფლიოში, რომ მათ პირველ რიგში დაამარცხონ სიღარიბე და შემდეგ, განვითარდნენ. ეს გახლავთ მერსი ქორფსის მიდგომის არსი: ჩვენ დახმარებას ვუწევთ მოსახლეობას იმაში, რომ კრიზისი საშუალებად აქციონ. მერსი ქორფსმა საქართველოში მუშაობა 2000 წელს დაიწყო იმ მიზნით, რომ სტაბილური და უსაფრთხო თემები შეექმნა კონფლიქტების ზემოქმედების გამო გაღარიბებულ რეგიონებში. ის ეხმარება ქართველ ფერმერებს პრობლემების ერთიანად მოგვარებაში ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებით და არ განიხილავს პრობლემებს ცალ-ცალკე და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ჩვენ დავაარსეთ სასოფლო მომსახურების ცენტრი, რომელიც მოსახლეობას და ფერმერებს მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, უტარებს მათ ტრენინგებს და ეხმარება ბაზრებთან და მყიდველებთან კავშირების დამყარებაში.

პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვა

კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის 22-წლიანი საქმიანობის ისტორია ძალიან ბევრ საინტერესო და სასარგებლო პროექტს მოიცავს, როგორც საქართველოს, ასევე სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, კონფლიქტების პრევენცია და მართვა, სამშვიდობო ჟურნალისტიკა და მრავალი სხვა.

2014 წლის აპრილიდან ჩამონათვალს თვისობრივად ახალი პროგრამა **„ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი. ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“** შეემატა. პროგრამით სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 13 მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5000-ზე მეტი მოქალაქე მოვიცავით, რაც პროგრამის გუნდის დიდი ძალისხმევითა და საქმისადმი სიყვარულით გახდა შესაძლებელი. საუბარია არა მხოლოდ 7000 ადამიანის სტატისტიკურად აღღიცხვაზე, არამედ მათთან ერთად კონკრეტულ საკითხებზე მუშაობაზე, ბევრი საინტერესო და საჭირო ინიციატივის გაჟღერებასა და ლობირებაზე.

ამ შესაძლებლობისთვის დიდი მადლობა პროგრამის გუნდს, ფინანსურად მხარდამჭერ ორგანიზაციას USAID და განმხორციელებელ პარტნიორს Mercy Corps Georgia-ს.

დღეს, პროგრამის გუნდთან ერთად, სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ეს შევძელით!
შემდგომში საინტერესო პროგრამების განხორციელებისა და თანამშრომლობის სურვილით,

მაია კაციტაძე
პროგრამის ხელმძღვანელი;
ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

პროგრამის შესახებ

ჰორიზონტის გაფართოება:
გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისა-თვის – პროგრამა ხორციელდება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსთან“ პარტნიორობით. პროგრამის ხანგრძლივობაა 28 თვე და მისი განხორციელება დაიწყო 2014 წლის 1 აპრილს.
პროგრამის მიზანს ქალებისა და გოგონებისათვის ახალი პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა და მათთვის შესაძლებლობების ჰორიზონტის გაფართოება წარმოადგენდა. პროგრამის ფარგლებში სამცხე–ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 13 მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისათვის შეიქმნა განვითარებისათვის საჭირო შესაძლებლობების ხელის შემწყობი, სტერეოტიპებისგან თავისუფალი გარემო.

პროგრამა შედგებოდა 3 ძირითადი კომპონენტისგან:
- ✓ “ქალთა ოთახი” - ახალი მუნიციპალური სერვისი, რომელმაც ქალებს გაუმარტივა ინფორმაციასა და სხვადასხვა სერვისზე წვდომა და ხელი შეუწყობ გენდერული ცნობიერების ამაღლებას.
- ✓ განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების ფონდი - ხელი შეეწყო ქალებისა და გოგონების კარიერისა და განათლების შესაძლებლობების გაზრდას; ასევე, კავშირების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას შესაძლებლობათა ადგილობრივ მაძიებლებსა და ბიზნესებს, უნივერსიტეტებს, პროფესიული მომზადების ცენტრებსა და ადგილობრივ სკოლებს შორის.
- ✓ განათლება და სკოლები - შერჩეული პედაგოგებისთვის ჩატარდა სპეციალური ტრენინგები გენდერული თანასწორობისა და გოგონათა გაძლიერების პროგრამით. კომპონენტმა ხელს შეუწყო სკოლებში თემატური გაკვეთილების, ფაკულტატური მეცადინეობების, ინტერაქტიული სავარჯიშოებისა და როლური თამაშების ორგანიზებას. მოხდა მშობლების აქტიურად ჩართვა ბავშვების მიერ მომზადებულ მცირე პროექტებში, დისკუსიებში, ფილმების პრეზენტაციებში, ა.შ.

პროგრამა 13 მუნიციპალიტეტში ადგილობრივად თანამშრომლობდა შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან:
- ✓ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები: საკრებულოები და გამგეობები;

საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები;
- ✓ სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები;
- ✓ ადგილობრივი ბიზნეს ორგანიზაციები.

პროგრამა „ჰორიზონტის გაფართოება - გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის“ მის სამიზნე რეგიონებში ქალთა ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარა შემდეგი მიმართულებით:
- ✓ ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ;
- ✓ უსასყიდლოდ გამოიყენეს “ქალთა ოთახების” სივრცე და არსებული აუდიტორია, საინტერესო პროექტებითა და იდეებით უზრუნველყოფილ იქნა ქალების აქტიური ჩართულობა ადგილობრივი თემის ცხოვრებაში;
- ✓ ხელი შეუწყვეს ქალების გაძლიერებას შესაბამისი ცოდნითა და უნარებით. ეს იყო - ქალთა ჯანმრთელობა, ოჯახური ძალადობის აღკვეთისკენ მიმართული ღონისძიებები, ენებისა და კომპიუტერის შესწავლის კურსები, თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების მართვის უნარები და ა.შ.
- ✓ ხელი შეუწყვესნ ქალთა უფლებების შეზღუდვის პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებს, როგორც ტრენინგების, ასევე საინფორმაციო ცხელი ხაზის უზრუნველყოფით.

ქალთა ოთახების კომპონენტი

(მიმართულების ხელმძღვანელი მაია კუპრავა–შერვაშიძე)

„ქალთა ოთახების“ კომპონენტის მიზანი იყო ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ყველა მუნიციპალიტეტებში შექმნილიყო ახალი მუნიციპალური სერვისი ქალთა ოთახები, რომელებიც ქალებსა და გოგონებს შესთავაზებდა ინფორმაციასა და სერვისებს გენდერული ცნობიერების ამაღლებისათვის და მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებისა და სააგენტოებისთვის შეასრულებდა რესურსებისა და ინფორმაციის ცენტრის ფუნქციას.

ახალი მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“ ქალებისა და გოგონებისათვის მუნიციპალიტეტში მოსულ ყველა მსურველს მოემსახურება მასში არსებული სერვისებით. გამგეობაში მოსულ ქალებს გაუწიონ კონსულტაცია, მიაწოდონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში დაიტოვონ ბავშვი ბავშვთა კუთხეში, რომელიც ყველა ქალთა ოთახშია მოწყობილი. ქალთა ოთახში მოსულ ქალს აქვს საშუალება, ისარგებლოს ბიბლიოთეკით, კომპიუტერითა და ინტერნეტით. ქალთა ოთახი ღია სივრცეა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო საქმიანობისა და შეხვედრების ჩასატარებლად და ქალთა მხარდასაჭერად.

სულ გახსნილია 13 ქალთა ოთახი სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის ყველა მუნიციპალურ ერთეულებში. კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევით ცენტრს (ICCN) მათთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები 2017 წლის 30 აპრილამდე. ქალთა ოთახებს ემსახურებიან მუნიციპალიტეტის თანამშრომლები - მენეჯერები, რომლებსაც ხელფას უხდის მუნიციპალიტეტი. სულ, ქალთა ოთახებს ემსახურება 18 ქალი მენეჯერი.

2014-2016 წლების განმავლობაში, ჩვენი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები ქალთა ოთახების მენეჯერების უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად და მათი საქმიანობის ჩამოსაყალიბებლად. ყველა მენეჯერმა გაიარა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა. ჩვენი მიზანი იყო, მუშაობის პროცესში დიდი ყურადღება დაგვეთმო მენეჯერების პროფესიონალიზმის და განვითარებისათვის. ვფიქრობთ, ნაწილობრივ მივაღწიეთ მიზანს, მათი სახით მუნიციპალიტეტებს ძლიერი კადრები შევძინეთ.

პროგრამის ფარგლებში ქალთა ოთახებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო საქმიანობა, ტრენინგები, რომელის თემები შეირჩა მუნიციპალიტეტებში ჩატარებული საბაზისო კვლევის საფუძველზე და მასზე დაყრდნობით და რომლის მიზანიც იყო ქალებისა და გოგონების გააქტიურება და მათი ჩართულობა თემსა თუ მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

- ✓ გენდერის არსი და ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ✓ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
- ✓ სახელმწიფო მოწყობა, თვითმმართველობის ორგანოები და მოქალაქეთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში;
- ✓ მცირე ბიზნესის განვითარება;
- ✓ ორგანიზაციული მენეჯმენტი და კომუნიკაცია;
- ✓ ლიდერობა და სამოქალაქო აქტივიზმი.

ქალთა ოთახები

პროექტის ფარგლებში 2015-2016 წლებში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწავლებისთვის შეიქმნა ხუთი სატრენინგო მოდული. ტრენინგების მონაწილეები იყვნენ რეგიონის ქალები და გოგონები, სადაც შესაძლებლობა ეძლეოდათ გაცნობოდნენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს, აზროვნების ჰორიზონტის გაფართოების, გამოხატვის შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშესაწყობად და ინფორმაციის და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ქალთა ოთახებში ჩატარდა ქალებისა და გოგონებისთვის ერთთვიანი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სამთვიანი ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო სწავლების კურსები. ყველა ტრენინგის და სასწავლო პროგრამის მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატები.

ქალთა ოთახებში მენეჯერების საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის შემუშავდა „ქალთა ოთახების განვითარების სტრატეგიის“ დოკუმენტი, პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე რათა, მნიშვნელოვანი აქცენტი გაგვეკეთებინა ახალი მუნიციპალური სერვისის მდგრადობისა და განვითარების საჭიროებაზე. სტრატეგიული დოკუმენტის პრეზენტაციები ჩატარდა ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორების გაფართოებულ შეხვედრებზე, სადაც დოკუმენტის გაცნობას დაესწრო ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავჯდომარე. დოკუმენტის წარდგენის მიზანი იყო ქალთა ოთახების მნიშვნელობის ხაზგასმა და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია.

ქალთა ოთახების მენეჯერებს გამოცდილების გაზრდის და უნარების გაძლიერებისათვის თბილისში სასწავლო ვიზიტი ჩაუტარდათ, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობასაც მოიცავდა. ამ მიზნით ტრენინგზე მოწვეული იყო საქართველოს მეექვსე მოწვევის პარლამენტის ვიცე-სპიკერი და გენდერული თანასწორობის საბჭოს ყოფილი თავჯდომარე ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი. რომელიც ესაუბრა მონაწილეებს თავის საქმიანობაზე და იმ გამოცდილებაზე, რაც მან მიიღო პარლამენტში ყოფნის დროს. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მონაწილეებს შორის საინტერესო დიალოგი წარიმართა.

ქალთა ოთახები

თბილისში ვიზიტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა პარლამენტის ვიცე–სპიკერთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარესთან ქალბატონ მანანა კობახიძესთან, შეხვედრამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ვიცე–სპიკერი სრულად იყო ინფორმირებული ჩვენი პროგრამის საქმიანობის შესახებ. შეხვედრას შედეგად მოჰყვა ვიცეს–პიკერისგან ქალთა ოთახების საქმიანობის მხარდასაჭერად სარეკომენდაციო წერილების გაგზავნა ორივე მხარის გუბერნატორთან და ცამეტი მუნიციპალიტეტის გამგებლებთან.

ქალთა ოთახების მენეჯერები შეხვდნენ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ეკა სეფაშვილს, ისაუბრეს არსებულ პრობლემებზე, საჭიროებებსა და ქალთა ოთახების საქმიანობაზე.

ყველა ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკების პროცესი.

ყველა ქალთა ოთახს აქვს შემუშავებული „2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა“, სადაც დეტალურად არის გაწერილი საქმიანობები და ჩასატარებელი ღონისძიებები. ყველა სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია გამგეობებთან.

2015 წლის 15 ოქტომბერს ქალთა ოთახებში სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა, რომელშიც ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის გამგებლები და სოფლის გამგებლის წარმომადგენლები. გარდაბნის ქალთა ოთახის მიერ დაგეგმილი იყო სოფელ მარტყოფში შშმ მოზარდთა სახლში ღონისძიება, წარმოდგენა გამართეს საცირკო ხელოვნების დასის წევრებმა. ასევე, მარნეულში გამგეობის შენობაში შეხვედრა მოეწყო სოფლად მცხოვრებ ქალებთან, სადაც ისაუბრეს იმ ღვაწლზე, რომელიც ამ ქალების საქმიანობას მიუძღვის საკუთარი ოჯახების და ქვეყნის განვითარების საქმეში. ღონისძიება გახსნა გუბერნატორმა ბატონმა პაატა ხიზანაშვილმა და გამგებელმა ბატონმა მერაბ თოფჩიშვილმა, შეხვედრის ორგანიზატორი იყო მარნეულის ქალთა ოთახის

ქალთა ოთახები

მენეჯმენტი. დმანისში ამ დღესთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა რაიონის უხუცესი ქალთან და ფენიკეტონურეით დაავადებული ბავშვების დედასთან. მათ ფულადი დახმარება გადასცა დმანისის გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ. მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ ქალთა ოთახებმა ყოველწლიურად აღნიშნონ სოფლად მცხოვრები ქალების დღე.

ქალთა ოთახებში აქტიურად ხორციელდება კონსულტაციები ვიზიტორებთან მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროგრამებზე და საქმიანობაზე. იმართება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრები ქალებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან, სტუდენტების და მენეჯერების შეხვედრები სხვადასხვა თემებზე ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიღების დონეზე, ადრეული ქორწინება, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება, სოფლის მეურნეობა-ფერმერი და სხვა მათთვის მნიშვნელოვანი თემებზე.

ქალთა ოთახები მონაწილეობდნენ „ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თექვსმეტ დღიან კამპანიაში“ 2015 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში, დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება ქალთა ოთახების მენეჯერების, სოფლად მცხოვრები ქალების, ახალგაზრდების მონაწილეობით. შეხვედრების მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირებულობა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

2015 წლის აგვისტო-სექტემბერში, ICCN-ის მხარდაჭერით და რეკომენდაციით ისრაელში MASHAV-ის პროგრამის „ინფორმაციული-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება მცირე ბიზნესის განვითარებაში“ ახალციხის, ახალქალაქის და ბოლნისის მენეჯერებმა გაიარეს შერჩევა და მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სემინარში. შემდეგ მიღებული გამოცდილება გაუზიარეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელ ქალებს. მათი უნარების გაძლიერების და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

ქალთა ოთახები

ქალთა ოთახების მნიშვნელოვანი საქმიანობაა სოფლებში გასვლითი შეხვედრები სოფლად მცხოვრებ ქალებთან, ასევე საუბარი თემაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მათი დასწრება და მონაწილეობა სოფლის კრებებზე. სწორედ ამ მიმართულებით გამგებლის წარმომადგენლებთან „სოფლის რწმუნებულებთან“, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე (სოფლის კრებების ორგანიზება და სოფლის საჭიროებების განსაზღვრა გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით) ჩვენი პარტნიორის მერსიქორფსის მიერ. სულ, ჩატარდა 12 ტრენინგი (ქალაქი რუსთავის გარდა). ტრენინგზე „სოფლის წამომადგენლებს“ მიაწოდეს ინფორმაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოფლის კრებებზე ქალებისა და მამაკაცების, თანაბარი დასწრების უზრუნველყოფის აუცილებლობის საკითხზე, რაც მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად.

2015 წელს, პროგრამის ფარგლებში ომბუდსმენის ინსტიტუტის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტების ქალთა ოთახებში ჩატარდა სემინარი ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით.

2016 წლის 22 ივნისს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის ქალთა ოთახების ახალი მუნიციპალური სერვისების გაწეული საქმიანობის 2014-2016 წლების შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის ექვსი მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახების მენეჯერები, ქალი დეპუტატები, მუნიციპალიტეტების გამგებლები და საკრებულოს თავჯდომარეები. სტუმრებს მიესალმნენ ახალციხის მერი და გამგებელი. შეხვედრაზე პრეზენტაცია და თავისი გაწეული საქმიანობა წარმოადგინა ახალციხის გამგებელმა, ისაუბრა “სოფლის სახლებზე,” რომლებიც ქალთა ოთახების მსგავსად მოქალაქეებს მოემსახურება და 2017 წლისთვის მათ სურვილი აქვთ ახალციხის ყველა სოფელს ჰქონდეს საკუთარი “სოფლის სახლი“ ქალთა ოთახების მსგავსად.

„სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში გენდერული თანასწორობის მიმართ ქალთა და გოგონათა დამოკიდებულების“ კვლევა ჩატარდა 12 მუნიციპალიტეტში, რომლის მიზანია შეისწავლოს ქალთა და გოგონათა მდგომარეობა გენდერულ ჭრილში. კვლევა განახორციელა კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა (ICCN). კვლევის რეკომენდაციები გენდერული მიმართულებით ქალთა და გოგონათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის არის მიმართული მუნიციპალიტეტებისათვის და ყველა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირთათვის. კვლევის პროცესში მონაწილეობდნენ ქალთა ოთახების მენეჯერები და უფროსკლასელები/მოხალისეები.

ქალთა ოთახები

2016 წლის 15 აგვისტოს, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციაში საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტებში ახალი სერვისის ქალთა ოთახების მენეჯერები, სადაც მათი მუშაობის ძირითადი მიმართულებები განხილეს. ქალთა ოთახების მენეჯერებმა გააკეთეს თავიანთი საქმიანობის პრეზენტაცია, ასევე კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN)-ის და მერსი ქორფსის წარმომადგენლებმა ისაუბრეს რეგიონის მასშტაბით აღნიშნული სერვისის წარმატებული ფუნქციონირების მნიშვნელობაზე. ქალთა ოთახებთან საკონტაქტოდ გუბერნატორის აპარატში დაინიშნა მდივანი. გუბერნატორმა გამოთქვა სურვილი სამომავლოდ ქალთა ოთახების მენეჯერებთან შეხვედრების და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესახებ.

2016 წლის აგვისტო–სექტემბერში, ქალთა ოთახების მენეჯერების, სკოლის პედაგოგების და პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბიზნესის ბენეფიციარების საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა მისაქციელში, რომლის მიზანიც იყო პროგრამის სამი მიმართულების კოორდინაცია და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა. 13 მუნიციპალიტეტისთვის შეიქმნა ერთობლივი მოქმედების 13 გეგმა და საქმიანობის სტრატეგია.
თბილისში 2016 წლის 30 სექტემბერს, ქალთა ოთახის მენეჯერებს ჩაუტარდათ ფონდების მოძიების ტრენინგი, რომლის მიზანიც იყო ქალი მენეჯერებისთვის გარკვეული უნარ-ჩვევების გაძლიერება და საჭიროების შემთხვევაში, ფონდების მოძიება როგორც თავიანთ საქმიანობაში, ასევე სხვა ქალების დასახმარებლად, რაც ქალთა ოთახების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

ამონარიდები ქალთა ოთახების მენეჯერების ანგარიშებიდან

ახალქალაქი

მენეჯერი - **ანაიდა ასატურიანი**

ქალთა ოთახის მუშაობის პროცესში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. ICCN-ის მხარდაჭერით ეფექტური და ეფექტიანი იყო ინგლისური ენის უფასო კურსები, აგრეთვე სხვადასხვა საჭირო და სასარგებლო თემებზე ჩატარებული ტრენინგები ქალებისა და გოგონებისთვის.

არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა იყო მცირე ბიზნესის განვითარებისთვის გაცემული 4000–ლარიანი გრანტი, რომელიც მოიღო დალი აღდგომელაძის პროექტმა და ახალქალაქში გაიხსნა დეკორატიული (ქოთნის) ყვავილების მაღაზია, რომელიც წარმატებით მუშაობს.

ქალთა ოთახები

ახალქალაქის ქალთა ოთახმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია), რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიული კონსულტაციებით დახმარებას გვიწევენ.

ახალქალაქის ქალთა ოთახმა საიას–თან ერთად ჩაატარა ერთობლივი შეხვედრა აქტიურ ქალებთან და გოგონებთან ადრეული ქორწინების შესახებ. რაიონში ამ თემის აქტუალობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ქალთა ოთახმა უკვე მეორედ უმასპინძლა ადრეულ ქორწინებაზე გამართულ შეხვედრას. პირველი ჩაატარა სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა და ამ შეხვედრას ესწრებოდნენ უფროსკლასელი გოგონები, მათი მშობლები და პედაგოგები. მეორე შეხვედრის შედეგად ჩამოყალიბდა ადრეული ქორწინების წინააღდეგ ბრძოლის კამპანია „გოგონები აგრძელებენ სწავლას“.

ქალთა ოთახი მუშაობს სოფლად მცხოვრები ქალების კრებებში მონაწილეობის ხელშესაწყობად გამგებლის წარმომადგენლებთან (სოფლის რწმუნებულებთან), რათა მათ იაქტიურონ და მიიწვიონ ქალები სოფლის კრებებზე. ჯერჯერობით ქალთა მონაწილეობა კვლავ დაბალია.

ზაფხულში, ქალთა ოთახს ჰყავდა სამი სტუდენტი სტაჟიორი, რომლებსაც მიღებული გამოცდილება დაეხმარა, მათ ამ საქმიანობით უმაღლეს სასწავლებლებელში დააგროვეს კრედიტები.

2015 წლის აგვისტოში, ICCN-ის მხარდაჭერით და რეკომენდაციით შესაძლებელი გახდა ისრაელში MASHAV-ის პროგრამის „ინფორმაციული-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება მცირე ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად“ ახალქალაქის მენეჯერის მონაწილეობა და, შემდეგ გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრა ნინოწმინდის ქალთა ოთახში მენეჯერებთან, მუნიციპალიტეტის სამსახურების ქალებთან და ლიდერ ქალებთან. დღეისთვის უკვე ორმა ქალმა (ქალთა ოთახის მენეჯერის რეკომენდაციით) გაიარა შერჩევა და გაემგზავრა MASHAV-ის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ისრაელში.

ქალთა ოთახები

ახალქალაქის ქალთა ოთახის მენეჯერი აპირებს შექმნას სამსახურის მაძიებელ ქალთა და გოგონათა მონაცემთა ბაზა- „სამუშაო ბირჟა“ ქალებისა და გოგონების დასაქმების ხელშესაწყობად.
„ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა და საქმიანობა იყო ქალთა ოთახის შექმნის იდეა და მისი განხორციელება ახალქალაქში“ - ამბობს ანაიდა ასატურიანი;

ახალქალაქის ქალთა ოთახის მენეჯერი
2014 წლის ოქტომბრიდან ანაიდა ასატურიანი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაინიშნა ქალთა ოთახი მენეჯერად, ხოლო 2015 წლის მარტში გენდერული პოლიტიკის სპეციალისტად, ახლა ორივე პოზიციაზე მუშაობს და განაგრძობს საქმიანობას.

ახალქალაქის ქალთა ოთახის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
დღევანდელი მონაცემებით ქალთა ოთახილ ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზაში არის -15 ქალი ლიდერი.

ახალქალაქის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები: ფირუზა ტერ-გრეგორიანი, ნანა აღდგომელაშვილი, კრისტინა მანუკიანი.

ქალთა ოთახები

ნინოწმინდა

მენეჯერები: **გაიანე სეროპიანი** და **კრისტინა პუტულიანი**

ქალთა ოთახის მუშაობის პროცესში 2015-2016 წლების განმავლობაში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული საქმიანობა იყო საჯარო მოხელეებისათვის საკონკურსო პროგრამის სწავლება, რომელიც მენეჯერების თხოვნით, მოამზადა და ჩაატარა ICCN-მა ნინოწმინდის ქალთა ოთახში. სწავლებაში მონაწილეობას იღებდნენ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ქალები. შემდეგ სასწავლო პროგრამაში კაცებიც ჩაერთნენ, სულ 32 მონაწილე იყო. ყველა მათგანმა გაიარა კონკურსი და დასაქმდა მუნიციპალიტეტში. კონკურსში გამარჯვებულ ქალებს საჩუქრად გადაეცა საქართველოს კანონმდებლობის ნაკრები.

ქალთა ოთახში ჩატარდა ქალებისა და გოგონებისთვის ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო სამთვიანი კურსები და კომპიუტერის შესასწავლი ერთთვიანი კურსი.

საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ქალებისა და გოგონებისათვის ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე შეხვედრა სემინარი, რომელიც ჩაატარა სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა. ამ მიმართულებით მუშაობის მიზანია, შეხვედრების გაგრძელება სოფლის სკოლების მოსწავლე გოგონებთან და მათ მშობლებთან, რადგან მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანია ამ პრობლემის გადასაწყვეტად. იგივე თემაზე 2016 წლის მაისში ჩაატარა ტრენინგი კონსტიტუციის 42–ე მუხლის იურისტმა.

ნინოწმინდის ქალთა ოთახის მენეჯერების საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი იყო ICCN-ს მიერ ჩატარებული ტრენინგები ახალციხეში, თბილისში და მისაქციელში სადაც პროექტის სხვადასხვა კომპონენტების საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა და ერთობლივად იყო შემუშავებული სამივე მიმართულების: ქალთა ოთახი, ბიზნესი და სკოლის კომპონენტების ერთიანი საქმიანობის მოქმედების გეგმა.

მსგავსი შეხვედრები და საგანმანათლებლო საქმიანობები აუცილებელია ისეთი ახალი სამსახურისთვის როგორიც ქალთა ოთახია, ამ სამსახურის მენეჯერებს ესაჭიროებათ სწავლება და სრულყოფა მათი სამომავლო საქმიანობის განსახორციელებლად. ნინოწმინდაში ქალთა ოთახი არის სოფლად მცხოვრები ქალების და მუნიციპალიტეტის დამაკავშირებელი რგოლი.

ნინოწმინდის ქალთა ოთახის მენეჯერები

ქალთა ოთახს ყავს ორი მენეჯერი გაიანე სეროპიანი და კრისტინე პუტულიანი, მათ მიიღეს მონაწილეობა კონკურში და გაიარეს საჯარო მოხელის ატესტაცია და დაენიშნათ საშტატო განაკვეთის მიხედვით ანაზღაურება.

ქალთა ოთახები

ნინოწმინდის ქალთა ოთახის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
2015 წლის მარტიდან ქალთა ოთახს ყავს ბევრი აქტივისტი ქალი სოფლებში, მათ შორის არიან სოფლის მასწავლებლები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი ქალები, სულ 450 ადამიანი.

ნინოწმინდის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები: ნაირა ჩობანიანი, ნარინა კურგიანი, რუზანა დავთიანი.

ასპინძა

ქალთა ოთახის მენეჯერი - **მედეა ქავთარაძე**

ასპინძის ქალთა ოთახის საქმიანობაში ყველა მიმდინარე თუ ჩატარებულ ტრენინგსა და ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართულები ქალები და გოგონები.

20 ქალმა გაიარა ინგლისური ენის სამთვიანი კურსი და ასევე 8 ქალმა გაიარა კომპიუტერის შემსწავლელი ერთთვიანი კურსი. ინგლისური ენის სწავლების გაგრძელების მსურველი ბევრია და მშვიდობის კორპუსთან "ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის" პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს მოლაპარაკება ინგლისური ენის უცხოელი მასწავლებლის ქალთა ოთახში მუშაობის შესახებ.

საინტერესო და მნიშვნელოვანია 4000 ლარიან საგრანტო კონკურსში ნათია რიჟამაძის გამარჯვება, რომელმაც პროექტის ფარგლებში სილამაზის სალონი ააშენა, სადაც ასპინძის სამი სხვადასხვა სოფლებიდან 3 ქალი დაასაქმა.

ქალთა ოთახები

ქალთა ოთახს აქტიურად სტუმრობენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები, რომლებიც სარგებლობენ ოთახში არსებული სერვისებით, ეს სივრცე მათთვის სასიამოვნო ადგილია მოსასვლელად, აქ სტუმრობის დროს ქალები ისეთ საკითხებზე სასაუბრობენ, რომელიც მათ აწუხებთ, ხშირად მენეჯერს ფსიქოლოგის კონსულტაციის შეთავსებაც კი უწევს (ის პროფესიონალი ფსიქოლოგია) „მათი პირადი, ოჯახური პრობლემების მოსმენა-მათთან ერთად პრობლემის გაანალიზება და გარკვეულ წილად ინფორმირება კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით“. ამ პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იქნებოდა რაიონში არსებობდეს ფსიქოლოგის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა, სადაც დახმარებას მიიღებდნენ ქალები, გოგონები და ყველა მსურველი, ვინც მსგავს დახმარებას საჭიროებს.

მნიშვნელოვანი აქტიობა რომელიც 2015 წლის ზაფხულში ჩატარდა ქალთა ოთახში იყო მენეჯერის მიერ, მოხალისეობრივ საწყისებზე გახსნილი ხელსაქმის უფასო შემსწავლელი კურსები, ქალებისა და გოგონებისათვის, რამაც კიდევ უფრო გაუზარდა ქალთა ოთახს მომხმარებელი და პოპულარობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ასევე ქალთა ოთახის სერვისებით კომპიუტერი და შეხვედრების ადგილი სარგებლობენ სოფლად მცხოვრები 11-12 კლასის მოსწავლე გოგონები.

ასპინძის ქალთა ოთახის მენეჯერი

მედეა ქავთარაძე არის დანიშნული ბრძანების საფუძველზე, როგორც დამატებითი საქმიანობის განმხორციელებელი მუშაობს საზოგადოებრივ ჯანდაცვის მუნიციპალურ ცენტრში ექიმ-ეპი-დემიოლოგად და ამ დამატებითი საქმიანობისთვის მას ეძლევა ხელფასი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ასპინძის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა

ბოლო მონაცემებით ბაზაშია 48 ლიდერი ქალი. ბაზაში შესულია რაიონის თითქმის ყველა სოფლიდან 2-3 ქალი.

ქალთა ოთახები

ასპინძის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები: რუსუდან შანიძე, სოფელი შორა, მზიური პაპაშვილი, ასპინძა, თათია თაქთაქიძე, სოფელი სარი.

ასპინძის ქალთა ოთახში ჩატარებული საქმიანობების შედეგად დასაქმდნენ: .
ნათია ბერიძე "ვარძია რეზორტში", ნათია სისაური და ნადია ეგოროვა - კორპორაცია "ევექსში" ასპინძის ფილიალში.

შუშანა ვოსკანიანი დასაქმდა საჯარო რეესტრში. აგრეთვე სამი ქალი რომელიც დასაქმდა ჩვენი პროექტში გამარჯვებულ ბიზნესში სილამაზის სალონშ. ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვიდი ქალი დასაქმდა ასპინძის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის გავლით.

ახალციხე

ახალციხის ქალთა ოთახის მენეჯერი - **ნინო რუხაძე**

ახალციხეში ქალთა ოთახისთვის ფართის გამოყოფა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მდგომარეობის გამო (არასაკმარისი ფართის გამო) ვერ მოხერხდა დროულად. მიუხედავად ამისა 2014 წლის ოქტომბერში ICCN-სა და ახალციხის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე პირობითად არსებულმა ქალთა ოთახმა განახორციელა პროგრამის მიერ დაგეგმილი ყველა ღონისძიება ტრენინგი, რისთვისაც იყენებდა ახალციხეში არსებულ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის შეხვედრების ფართს. ასევე განახორციელა სხვადასხვა ტიპის აქტივობები როგორიცაა, საინფორმაციო შეხვედრები სოფლად მცხოვრებ ქალებთან და გოგონებთან, არსებული პრობლემების მოძიება და ანგარიშის სახით მუნიციპალიტეტის გამგებელთან წარდგენა, სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან და გამგებლის წარმომადგენლებთან სოფლებში ქალთა ოთახის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად და მათთან ერთობლივი თანამშრომლობის და მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

2015 წლის 24 გვისტოდან 11 სექტემბრამდე ახალციხის ქალთა ოთახის მენეჯერი იმყოფებოდა ისრაელში მაშავის პროგრამის სემინარზე „საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნესის განვითარებისთვის" და მიღებული ცოდნის გაზიარება მოახდინა ახალციხე, ადიგენი, ასპინძა და ბორჯომში მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალბატონებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან მცირე ბიზნესი განვითარებით.

ქალთა ოთახები

2016 წლის გაზაფხულზე ახალციხის ქალთა ოთახმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ სოფლის კრებეში ქალთა მონაწლეობის მონიტორინგში, რასაც წინ უძღოდა გამგებლის რწმუნებულებისთვის ჩატარებული ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრვი დემოკრატიის განვითარების მიზნით დასახლების საერთო კრებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობის შესახებ. რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო და წინა წელთან შედარებით სოფლის კრებებში უფრო მეტი ქალი იღებდა მონაწილეობას.

2016 წლის მაისში მოგვეცა შესაძლებლობა არაოფიციალურად გაგვეხსნა ქალთა ოთახი მერიის ახალ შენობაში, სადაც დავიწყეთ ინგლისური ენის შემსწავლელი სამთვიანი კურსი. კურსი გაიარა 21 ქალმა. სწავლება მიმდინარეობდა ორ ჯგუფად დონეების შესაბამისად.

ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისსა და ახალციხის ქალთა ოთახს შორის. დავგეგმეთ აქტიური თანამშრომლობა. მემორანდუმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისი ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ქალებს გაუწევს საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს: პირად, სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებს; იურიდიული დოკუმენტების მომზადებას; წარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებსა და სასამართლოში საია-ს იურიდიული მომსახურებას პრიორიტეტების გათვალისწინებით. ასევე „ქალთა ოთახის“ მოთხოვნიდან გამომდინარე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩაატარებს საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს.

ქალთა ოთახები

ქალთა ოთახში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ლიდერობა და სამოქალაქო აქტივიზმი, ახალციხის ქალთა ოთახში მშვიდობის ფონდის დამფუძნებელებმა "სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა დიალოგის გზით" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) და IFES-ის (საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი) მიერ.

2016 წლის 22 ივლისს ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა პროგრამის საანგარიშო ღონისძიება, რომელსაც სამცხე–ჯავახეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და დონორი ორგანიზაციები ესწრებოდნენ.

ქალთა ოთახები

ქალთა ოთახები

ახალციხის ქალთა ოთახის მენეჯერი
ახალქალაქის მენეჯერი ხელშეკრულების და ანაზღაურების გარეშე, მოხალისეობრივ საწყისებზე ასრულებს ქალთა ოთახის მენეჯერის ყველა ფუნქციას.

ახალციხისლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
ქალთა ოთახს აქვს 97 ქალი ლიდერის მონაცემთა ბაზა.

ახალციხის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები:
ნონა ონიანი- ახალციხე, თინათინ გოგიაშვილი - ახალციხე, ნონა ივანიძე - სოფელი ღრელი, თამარ ჩაფიჩაძე - სოფელი ურაველა.

ადიგენი

ქალთა ოთახის მენეჯერი **ლია კაპანაძე**

ქალთა ოთახის საქმიანობიდან ყველაზე გამორჩეული საქმიანობა იყო მაღალმთიანი რეგიონების მთის კაონონში დაბა ადიგენის გათვალისწინება, რათა მის სოფლებს მინიჭებოდა მაღალმთიანი სტატუსი. ამ მიმართულებით აქტიური საქმიანობა დაიწყო ქალთა ოთახის მენეჯერმა აქტიურ ქალებთან ერთად და გადაწყდა ხელმოწერების შეგროვება სხვადასხვა სოფლებში მაღალმთიანი

სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად. ამ საქმეში დიდ დახმარება და კოორდინაცია გაწია ICCN-ის, ქალთა ოთახების კოორდინატორმა ქალბატონმა მაია კუპრავა-შარვაშიძემ. ხელმოწერების შეგროვების შემდეგ მომზადდა წერილი და გადაეგზავნა პარლამენტის თავჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს, ვიცე - სპიკერს ქალბატონ მანანა კობახიძეს და პრემიერ მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს. ამ პროცესში მონაწილეობდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული სოფლად მცხოვრები აქტიური ქალები.

ადიგენის ქალთა ოთახის მენეჯერი
ლია კაპანაძე დანიშნულია მენეჯერად და მას ამ საქმიანობაში ეძლევა ანაზღაურება.

ადიგენის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
ქალთა ოთახს აქვს 300 ლიდერი ქალის მონაცემთა ბაზა.

ადიგენის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები: თინათინ გოგრიჭიანი, ეკა ბოჩიკაშვილი, ხათუნა მოდებაძე.

ადიგენის ქალთა ოთახში ჩატარებული საქმიანობების შედეგად დასაქმდნენ: .
კომპიუტერის კურსების გავლის შედეგად დასაქმდა ორი ახალგაზრდა ქალი **მთვარისა ქიმაძე, ეკა ლობჟანიძე.**

ქალთა ოთახები

ბორჯომი

ბორჯომის ქალთა ოთახის მენეჯერები - **ნონა ლურსმანაშვილი, ნატა კოპაძე**

ჩატარებული შეხვედრებისა და ტრენინგების შედეგია სოფლად მაცხოვრები ქალების ცნობიერების ამაღლება, ზოგადად მათი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხისადმი, შედარებით გააქტიურდნენ სოფლის კრებებზე დასწრებით და საკუთარი აზრის გამოთქმით. განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა ინგლისური ენისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, სადაც ერთმა მონაწილემ, გოგონამ ნინო სუდაძემ გადაწყვიტა გაეგრძელებინა სწავლა, მან გაიარა ეროვნული გამოცდები წარმატებით და დღეს ის სტუდენტია.

ისრაელის საელჩოს მიერ გამოცხადებულ მაშავის საერთაშორისო სემინარზე მონაწილეობა მიიღო ქალთა ოთახის ყოფილმა მენეჯერმა ქ-ნ ია ტლაშაძემ, რომელმაც სამი კვირა გაატარა ისრაელში,გაიღრმავა ცოდნა მოსმენილი ლექციებით,აღსანიშნავი იყო კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი მერსი ქორფსთან პარტნიორობით, პროგრამა ,,ჰორიზონტის გაფართოება გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო პროგრამა მოსწავლეთათვის სადაც გამარჯვებულმა და მონაწილე მოსწავლეებმა დაისვენეს ბაკურიანში საზაფხულო ბანაკში.სოფლად მცხოვრებ ქალბატონებს, რომელთათვის პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ჩამოსვლა ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად, ვეხმარებით ინფორმაციის მიწოდებაში. ფსიქოლოგის დახმარება გავუწიეთ ძალადობის მსხვერპლ გოგონას ნინო ქაჯაიას.

პროექტით მცირე ბიზნესის განვითარებისათვის გამარჯვებულ ქ-ნ მთვარისა გელაშვილს გადაეცა გრანტი, რომლის საშუალებითაც შესძლო გაეუმჯობესებინა ოჯახური სასტუმროს პირობები.

ქალთა ოთახები



ქალთა ოთახები

ბორჯომის ქალთა ოთახის მენეჯერი
2014 წელს ქალთა ოთახის მენეჯერად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნული იყო ია ტლაშაძე, რომელსაც აპარატის სპეციალისტის მოვალეობასთან ერთად დავალებული ჰქონდა ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის ცოდნის გაღრმავების და წინსვლის პროგრამის ფარგლებში ქალთა ოთახის ფუნქციონირების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად ია ტლაშაძე დაინიშნა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით საკრებულოს აპარატის წამყვან სპეციალისტად, მის ფუნქცია-მოვალეობას, ასევე წარმოადგენდა საკრებულოს აპარატის დებულებით განსაზღვრული სამუშაო და ქალთა ოთახის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ბორჯომის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
დღევანდელი მონაცემებით ელექტრონულ ბაზაშია 10 ლიდერი ქალია;

ბორჯომის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები:
მანანა დევდარიანი - ბორჯომი, ნინო ღონღაძე - სოფელი რველი, მარინა გურასაშვილი - სოფელი რველი.

რუსთავი

ქალთა ოთახის მენეჯერები **მარინა ჩიტაიშვილი** და **საბინა მირზოევა**

რუსთავი არის პირველი ქალაქი, სადაც გაიხსნა ქალთა ოთახი რაიონული ცენტრებისგან განსხვავებით, სხვა სპეციფიკით, მასშტაბებით და თემებით. ქალთა ოთახის გახსნის დღიდან დღემდე ჩატარდა 7 ტრენინგი და 28 შეხვედრა.

2015 წ. შეხვედრა შედგა შეხვედრა საქართველოს პარლამენტში (თბილისში) პარლამენტის ვიცე-სპიკერ ქალბატონ მანანა კობახიძესა და ქვემო ქართლისა და სამცხე- ჯავახეთის ქალთა ოთახის მენეჯერებს შორის, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცდილება იყო ჩვენთვის. ასევე, სტუმრად ვიყავით და გავეცანით ჩვენი პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის მერსი ქორპსის მუშაობას. შევხვდით ორგანიზაციის ხელმძღვანელს და სხვა წევრებს. მივიღეთ დაწვრილებითი ინფორმაცია მათი პროგრამების და საქმიანობის შესახებ.

ქალთა ოთახები

შევხვდით რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს ქ-ნ ეკა სეფაშვილს, რომელმაც გვიმასპინძლა სამინისტროში.

ლიდერობის და გამოცდილების გაზიარების მიზნით გენდერულ თანასწორუფლებიანობის თაობაზე შეხვედრა გვქონდა პარლამენტის ყოფილ ვიცე-სპიკერთან ორგანიზაცია გენდერული სამართლიანობის ხელმძღვანელთან ქალ-ნ. რუსუდან კერვალიშვილთან, სადაც მან გაგვიზიარა თავისი გამოცდილება და სირთულეები რომელიც ჯერჯერობით თან ახლავს ქალთა დაწინაურების საქმეს.

ჩვენს საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართულები და სათანადო დახმარებას გვიწევენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ასევე თანამშრომლები. ვინაიდან, რუსთავში არის 10 მუნიციპალიტეტი და ისინი უკეთ იცნობენ თავინთ სამოქმედო არეალს, დახმარებას გვიწევენ დიასახლისი ქალების, ქალთა ოთახში მოწვევასთან დაკავშირებით.

ქალთა ოთახში ტარდება შეხვედრები ქალბისათვის მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა:

» ოჯახში ძალადობა და ადრეული ქორწინება;
» იპოთეკური სესხი, მეანაბრე და თავმდები;
» უძრავი ქონების და მიწის რეგისტრაცია;
» მემკვიდრეობა და ქონებრივი დავა.

აღნიშნულ საკითხებზე ქალთა ოთახში მოწვეულ დიასახლისებს დაწვრილებით და საინტერესო განმარტებებს აძლევენ ქალთა ოთახში მოწვეული იურისტები, კერძოდ, საიას რუსთავის ოფისის იურისტი ნათია ქოქიაშვილი და ა/ოსიდა-ს იურისტი თეონა კილაძე.

საქართველოს ევროპული გზისა და ვიზალიბერალიზაციის საკითხებზე ქალბატონებს ესაუბრება ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ოფისის ქვემო ქართლის რეგიონის წარმომადგენელი მარიკა ლიპარტელიანი. ასეთ შეხვედრებზე ძირითადად მოწვეული გვყავს დიასახლისები. რამდენიმე შეხვედრა ჩავატარეთ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალბატონებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე. ძირითადი თემა იყო ოჯახში ძალადობა და ადრეული ქორწინება.

რუსთავის, 10 მუნიციპალიტეტიდან 3 მუნიციპალიტეტში ყველა ეს თემა გავიარეთ. სამომავლოდ კი დაგეგმილი გვაქვს დანარჩენ 7 მუნიციპალიტეტებში ქალების აქტიური ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

2015 წლის დეკმბრიდან 2016 წლის თებერვლის ჩათვლით, ქალთა ოთახში აქტიურად მიმდინარეობდა ინგლისური ენის 3 თვიანი და კომპიუტერის 1 თვიანი პროგრამის უფასოს შესწავლა დიასახლისებისათვის. საბოლოო შეფასებისას ქალებმა მაღალი მაჩვენებელი მიიღეს და შესაბამისად გადაეცათ სერთიფიკატები.

ქალთა ოთახის სივრცეს აქტიურად იყენებს ქვემო ქართლის ქალთა საბჭო, რომლის თავმჯდომარე გახლავთ ქალბატონი ნარგიზი ტაბატაძე. ძირითად განსახილველ საკითხს წარმოადგენს ქალების დასაქმება. ქალთა ოთახში შეხვედრების დროს მყოფი ორი ქალი ქალთა საბჭოს დახმარებით დასაქმდა კერძო ბაგა-ბაღში. ასევე, ქალთა ოთახის დახმარებით 2 ქალი დასაქმდა კერძო საცხობში.
მოქალაქეების, კერძოდ კი დიასახლისების მხრიდან, არის მოთხოვნა, განმეორებით ჩატარდეს ინგლისური ენისა და კომპიუტერის / საოფისე პროგრამის / უფასოდ შესწავლა. ასევე ეთნიკური უმცირესობის ქალების მხრიდან არის მოთხოვნა ქართული ენის შემსწავლელი კურსისს გავლის შესახებ.

ქალთა ოთახები

იგეგმება ქალთა ოთახში მოიწვიონ ფსიქოლოგი და შეხვედრა მოაწყონ ახალგაზრდა დედებთან, მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე.
დღეისათვის ქალთა ოთახის საქმიანობას ყავს 164 მხარდამჭერი ქალი მაგრამ ეს ციფრი ყოველი მომდევნო შეხვედრის შემდგომ იზრდება.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის მიუხედავად კვლავ ბევრია გასაკეთებელი და რუსთავის ქალთა ოთახი მზადაა, შეძლებისდაგვარად, აიღოს პასუხისმგებლობა სხვადასხვა საკითხის სისრულეში მოსაყვანად.

რუსთავის ქალთა ოთახის მენეჯერები
ქალთა ოთახის ორივე თანამშრომელი გახლავთ ა(ა)იპ -ის ინფორმაციის დამუშვების და ანალიზის ცენტრის თანამშრომელი: მანანა ჩიტაიშვილი – წამყვანი სპეციალისტი, საბინა მირზაევა-- სპეციალისტი და ვასრულებთ რუსთავის ქალთა ოთახის მენეჯერის ფუნქციებს სხვა საქმიანობა არ გვევალება ქალთა ოთახის გარდა.

რუსთავის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
დღევანდელი მონაცემებით ქალთა ოთახების ლიდერ ქალთამონაცემებით ბაზაში შეყვანილია 19 ქალი და 164 აქტიური ქალბატონი.

რუსთავის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალებიი:
ლიანა ალადაშვილი, მანანა ნარუსლიშვილი, ანა უზნეცოვა, დალი პეტრიაშვილი.

რუსთავის ქალთა ოთახში ჩატარებული საქმიანობების შედეგად დასაქმდნენ: ქალთა საბჭოს დახმარებით კერძო ბაგა-ბაღში – 2 ქალი, ასევე ქალთა ოთახის დახმარებით - რეკომენდაციით კერძო საცხობში – 2 ქალი.

ქალთა ოთახები

გარდაბანი

ქალთა ოთახის მენეჯერი **ლელა ბენდელიანი**

2016 წლის გაზაფხულზე გაიხსნა და ფუნქციონირებს ქალთა ოთახი. გახსნამდე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ყველა ღონისძიება ხორციელდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში გარდაბნის ქალთა ოთახთან თითქმის ყველა სოფლიდან თანამშრომლობენ ლიდერი ქალები, რომელთა მეშვეობით ხდებოდა არსებულ პრობლემების გამოკვეთა სოფლად მცხოვრები ქალებისათვის და შეძლებისდაგვარად ვაგვარებდით ამ პრობლემებს და გადავცემდით ინფორმაციას გამგეობას.

ქალთა ოთახებს აქვს ვიზიტიორთა ყოველდღიური აღრიცხვა, ვიზიტიორები მოდიან სხვადასხვა პრობლემებით, ქალთა ოთახი თავისი მხრივ ხელს უწყობს ამ პრობლემების მიტანას ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ბევრი საკითხი მათ სასიკეთოდ გადწყდა. დღემდე გარდაბნის ქალთა ოთახში ბევრი ტრენინგია ჩატარებული სხვადასხვა თემაზე, რომელსაც ესწრებოდნენ უმეტესად ქალები სხვადასხვა სფეროდან, მათშორის: აქტიური და ლიდერი ქალები, მეწარმეები, პედაგოგები, საჯარო მოხელეები და დიასახლისები.

მნიშვნელოვანი იყო, მისაქციელში აგვისტოს ბოლოს გამართული შეხვედრა ლიდერ, მეწარმე და პედაგოგ ქალებთან. შეხვედრა საინტერესო იყო, რადგან გაჩნდა მრავალი იდეა და დავიწყეთ მუშაობა ახალ პროექტზე - ,,ჩემი სახლი''. პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელში, რომლებსაც გააჩნიათ ტრადიციებად ქცეული სტერეოტიპები ისე როგორც თითქმის მთელ საქართველოში, ეს ხელს შეუწყობს ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევას. რაც ფრიად მნიშვნელოვანი იქნება, თუნდაც მხოლოდ იმ კუთხით, რომ ძირითადად აზერბაიჯანულ სოფლებში ახალგაზრდა ქალებს, რომლებსაც ისევ მართავენ დედამთილები და მათი ნებართვის გარეშე „ჭიშკარს გარეთ“ ვერ გამოდიან, არიან კარჩაკეტილები, განიცდიან საზოგადოებასთან ინტეგრირების დეფიციტს, არ იციან სახელმწიფო ენა (ქართული), აქედან გამომდინარე საჭიროა დაინგრეს ნეგატიური სტერეოტიპები და ვფიქრობთ კარგი იქნება თუ ამ ტიპის შეხვედრები განხორციელდება ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ყველა სოფელში.

ქალთა ოთახები

გარდაბნის ქალთა ოთახის მენეჯერი
ლელა ბენდელიანი დანიშნულია ბრძანებით და ამ საქმის შესრულება არის დამატებითი საქმიანობა, ხელფასს იღებს სხვა პოზიციიდან.

გარდაბნის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
დღეის მდგომარეობით ბაზაში 45 ლიდერიქალის მონაცემებია.

გარდაბნის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები:
მაია ჯოხაძე, თეა ხუციშვილი, ნატალია ბექაური.

ქალთა ოთახები

მარნეული

ქალთა ოთახის მენეჯერები რიმა **ოთარაშვილი, მარიამ აბულაშვილი**

მნიშვნელოვანია ყველა საქმიანობა რაც ხდება ქალთა ოთახში. განსაკუთრებით საყურადღებოა ქალთა ოთახის საინფორმაციო შეხვედრები მარნეულის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ ქალებთან. შეხვედრები დაეთმო ,,სამოქალაქო ბიუჯეტი''-ის საკითხებსდარომპროცესი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის ნაწილია, მნიშვნელოვანია მოქალაქეების და კერძოდ ქალების ჩართულობა, რათა მოხდესმათი ინტერესების გათვალისწინება და ბიუჯეტურად ასახვა. გასული წლის თანამონაწილეობის ბიუჯეტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში თვითმმართველობის დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. წელს პროექტი თავისი მასშტაბით დაყოფილია ექვს ზონად. არჩეულია ექვსი კოორდინატორი. ოთხი ქალი და ორი მამაკაცი. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ქალთა ოთახი. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, პოლონელი ექსპერტები და სხვა სტუმრები. სადაც აუდიტორია გაეცნო, თუ რა გაკეთდა მიმდინარე წლის პროექტის ფარგლებში. ასევე გამოვლინდნენ საუკეთესო პროექტების ავტორები. გამარჯვებული პროექტის ყველა ავტორს გადაეცათ სერტიფიკატი, ზონის საუკეთესო პროექტის ავტორები დაჯილდოვდნენ სიმბოლური საჩუქრებით. სამოქალაქო ბიუჯეტი არის მუდმივი პროცესი, რომელის განაწილებასა და ხარჯვის პროცესში არიან ჩართული მოქალაქეები. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 5% (1,5 მლნ ლარი) საიდანაც დაფინასდება შემდეგ გამარჯვებული პროექტები.

ქალთა ოთახები

საქართველოში მარნეული არის პირველი, რომელმაც 2015 წელს განახორციელა და დანერგა პირველი სამოქალაქო ბიუჯეტის საპილოტე პროგრამა და ამ საქმიანობის განხორციელების დიდი წილი სწორედ ქალთა ოთახზე მოდიოდა. ზონის კოორდინატორების შერჩევაშიქალთა ოთახის რეკომენდაციით შეირჩა ორი ქალი და ორი მამაკაცი: ზეინაბ გორგაძე, ელმირაიოსელიანი, ალი ბაქიროვი, ფახრად აგაჯაევი.

მარნეულის ქალთა ოთახის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოხალისე ახალგაზრდა გოგონებთან, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ქალთა ოთახის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებში, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო -საინფორმაციო პროექტებში. ქალთა ოთახმა წარადგინა ოთხი აქტიური გოგონა, რომლებიც დასაჩუქრდნენ კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ ,,იყავი აქტიური" საჩუქრებით. მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმატებებს უსურვებს აქტიურ გოგონებს.

სამედიცინო კვლევები სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებს: გულსისხლძარღვთა, ტუბერკლიოზი, პარაზიტები და ოსტეოქონდროზის დაავადების შესამოწმებლად. სამედიცინო კვლევის ინიციატორი იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის ააიპ დაავადებათა კონტროლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. ამ პროგრამის და შეხვედრის ორგანიზატორი იყო მარნეულის მუნიციპალური სერვისი ქალთა ოთახი, პროგრამის მხარდამჭერი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა. პროგრამის ფარგლებში კვლევის შედეგად გამოვლენილ

პაციენტებს, გაეწევათ უფასო სამედიცინო დახმარება. კვლევის პარალელურად, მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები ადრეულ ქორწინებაზე ქალებთან და გოგონებთან ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესახებ.

მარნეულის სოფელ ზემო ყულარში ქალთა ოთახის ორგანიზებით და მარნეულის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა პირადად გადასცა ოსმანოვების ოჯახის არასრულწლოვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს სამედიცინო ეტლი. აგრეთვე გამგებელი შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას და გაეცნო მათპრობლემებს: ნარჩენების გატანას, ელ. ენერგიის დაბალი ძაბვა, გაზიფიკაცია და შიდა გზების რეაბილიტაცია. გამგებელი შეპირდა სოფლის მოსახლეობას პრობლემების მოგვარება. ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემა მოგვარდება ზოგი ადგილობრივი სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტებიდან, ზოგი სოფლის განვითარების პროექტების ფარგლებში.

მარნეულის ქალთა ოთახის მენეჯერი
რიმა ოთარაშვილი და მარიამი აბულაშვილი ხელშეკრულებით არიან დანიშნულები.ამ საქმიანობის განხორციელებისათვის ანაზღაურებას იღებენ გამგეობიდან.

მარნეულისლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
დღეისმდგომარეობითბაზაში33 ლიდერიქალის მონაცემებია.

მარნეულის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები:
საბინა ტალიბოვა, სამაია კარაევა, აიდა ისმაილოვა.

მარნეულში ქალთა ოთახში ჩატარებული საქმიანობების შედეგად დასაქმდნენ, მცირე ბიზნესის განვითარების ტრენინგების მონაწილე ქალები: სამკერვალო- ატელია ხალიდა ქერიმოვა, გუნაი გაჯიევა, კაფე- სანაყინე ბავშვებისთვისთამთა ჯიყაშვილი, ჯეირან ხუბანოვა, საზაფხულო კაფე: ამალია ურუმოვა.

ბოლნისი

ქალთა ოთახის მენეჯერი - **თინათინ ფრუიძე**

ქალთა ოთახი ბოლნისის მუნიციპალიტეტში,როგორც ახალი მუნიციპალური სერვისი, 2015 წლის აპრილში შეიქმნა. განისაზღვრა მისი მთავარი ფუნქცია ქალებისთვის: სასარგებლო და საჭირო ინფორმაციის მიწოდება და ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რათა მათ ჰქონდეთ გაუმჯობესებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, როგორც საგანმანათლებლო, ისე პროფესიული და ეკონომიკური კუთხით. ცნობიერების ამაღლების მიზნით დამფუძნებელი დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით 2015-21016 წლის განმავლობაში ჩატარდა 36 აქტივობა: ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები შემდეგი თემატიკით: ''მცირე ბიზნესის განვითარება'' და "მცირე ბიზნესის საგრანტო პროგრამა" ,''გენდერული საკითხების შესწავლა სკოლაში'' და „ქალთა მიმართ ძალადობა დაუშვებელია" ,''ადამიანის უფლებები'' და"კონფლიქტების მართვა","სახელმწიფო მოწყობა" და "ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები და მოქალაქეთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში'',"აგროტურიზმის განვითარება'' და"მოხალისეობა-გზაწარმატებისაკენ",გენდერული თანასწორობის მიმართ ქალთა და გოგონათა დამოკიდებულების კვლევის ჩატარება, ინგლისური ენისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო შემსწავლელი კურსები და მრავალი სხვა.

ქალთა ოთახები

ბოლნისის ქალთა ოთახის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა 180 მსმენელმა. 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში, ICCN-ის მხარდაჭერით და რეკომენდაციით ისრაელში MASHAV-ის პროგრამის „ინფორმაციული-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება მცირე ბიზნესის განვითარებაში“ მე, როგორც მენეჯერს მომეცა შესაძლებლობა მიმეღო მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში დაშემდეგ მიღებულიგამოცდილება გავუზიარე, როგორც ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქალებს, აგრეთვე შეხვედრები ჩავატარე ქვემო ქართლის (დმანისის,

თეთრიწყაროს, წალკის ,მარნეულის და რუსთავის) მუნიციპალიტეტების ქალთა ოთახებში.
ქალთა ოთახში ქალთა ორგანიზაციები და დაინტერესებული ჯგუფები უსასყიდლოდ იყენებენ აღნიშნულ სივრცეს და საინტერესო პროექტებითა და იდეებით უზრუნველყოფენ ქალების ჩართულობას ადგილობრივი თემის ცხოვრებაში, რათა ხელი შეუწყონ ქალების გაძლიერებას შესაბამისი ცოდნითა დ აუნარ-ჩევევებით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის საქმიანობა შუქდება ფეისბუქ გვერდზე.
www.facebook.com/pages/ ბოლნისის - ქალთა ოთახი. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს და მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.
ბოლნისის ქალთა ოთახში ქალები მათთვის საჭირო ყველა ინფორმაციას სწრაფად და მარტივად იღებენ; ოთახში არის ბიბლიოთეკა, ინტერნეტ-მომსახურება (2 კომპიუტერი), ეს არის ქალების თავშეყრის ადგილი, სადაც მათ ნებისმიერ აქტუალურ საკითხზე შეუძლიათ ისაუბრონ და ერთმანეთს იდეები გაუზიარონ; ოთახს ბავშვებისთვის სპეციალური კუთხეც აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ოთახი ახალი მუნიციპალური სერვისია, შესაძლებელი გახდა რაიონში მცხოვრებ ქალებში გაგვეძლიერებინა სურვილი და შესაძლებლობა მართონ საკუთარი საქმიანობა, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალთა ოთახის საქმიანობამ გამოიწვია დიდი ინტერესი ადგილობრივ მოსახლეობაში. ხშირია სტუმრობა და შეთავაზებული სერვისებით დაინტერესება. 300 –ზე მეტმა ვიზიტორმა ისარგებლა მომსახურებით, 490 -ზე მეტი სერვისით. ქალები აღნიშნავენ, რომ ქალთა ოთახის საქმიანობაში ჩართულობა ეხმარებათ დაგეგმონ საკუთარი მომავალი. ქალთა ოთახის არსებობა ქალებისათვის არის დიდი ბედნიერება.

ქალთა ოთახები

ბოლნისის ქალთა ოთახის მენეჯერი
თინათინ ფრუიძე დანიშნული შტატგარეშე მოხელედ ოთახის მენეჯერად და ამ საქმიანობის განხორციელებისთვის იღებს ხელფასს.

ბოლნისის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
დღევანდელი დღის მონაცემებით 35 ლიდერი ქალია ელექტრონულ ბაზაში.

ბოლნისის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები:
გაბიძაშვილი ნანა-სოფელიხათისი, **მარეტა ბაგირიანი** - ბოლნისი, **ნინო ციმაკურიძე** - დაბა კაზრეთი, **ელისო გოგოლაძე** - ბოლნისი, **მედეა ჯაფარიძე** - სოფელი დისველი.

დმანისი

ქალთა ოთახის მენეჯერი **ქეთევან მარტიაშვილი**

ჩატარებული ტრენინგები: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; მცირე ბიზნესის განვითარება; სახელმწიფო მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მოქალაქეთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში; ორგანიზაციული მენეჯმენტი და კომუნიკაცია;

ერთთვიანი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სამთვიანი ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო კურსები (2016 წელს განხორციელდა, 11 ქალბატონმა წარჩინებით გაიარა ინფორმაციული ტექმნოლოგიების კურსი, 14 ქალბატონმა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი;

ქალთა ოთახები

სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე აღინიშნება ტრადიციულად ყოველი წლის 15 ოქტომბერს; 25 ნოემბერს (2015 წლიდან ტრადიციულად ავღნიშნავთ ყოველ წელს) ცივილიზებულმა მსოფლიომ გაეროს ინიციატივით დაარსებული ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე აღნიშნა. დმანისის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად უერთდება 16–დღიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ;

ქალთა ოთახის დახმარებით მარტოხელა დედა ანა ბალახაძე დასაქმდა სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგად;

ქალთა ოთახის მიერ ჩატარდა 4 საქველმოქმედი აქცია კონცერტი; ქალთა ოთახს აქვს გაწერილი სამოქმედო გეგმა; ქალთა ოთახის მიერ დატრენინგებული ქალბატონების რაოდენობა შეადგენს 97-ს; ქალთა ოთახში ხორციელდება ასევე სხვადასხვა სახის ღონისძიებები და შეხვედრები არა მხოლოდ ქალებისათვის; ძალიან მნიშვნელოვანი იყო 2015 წლის სექტემბრის თვეში ვიზიტი პარლამენტში და სამუშაო შეხვედრა ქ.ნ მანანა კობახიძესთან, ასევე შეხვედრა ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის მოადგილესთან ეკა სეფაშვილთან; ქალთა ოთახს გააჩნია დმანისის ტერიტორიაზე საჯარო სამსახურში დასაქმებულ ქალთა ბაზა.

დმანისის ქალთა ოთახის მენეჯერი
ქეთი მარტიაშვილი არის დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, რომის მოვალეობებშიც შედის ქალთა ოთახის მენეჯერის საქმიანობა.

დმანისის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
ქალთა ოთახს აქვს 415 ქალის მონაცემები ბაზაში

ქალთა ოთახები

დმანისის ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები:
ანა ბალახაძე, პედაგოგი, **მაია ბერუაშვილი,** პედაგოგი, **ზოია ურუმაშვილი,** დიასახლისი.

დმანისის ქალთა ოთახში ჩატარებული საქმიანობების შედეგად დასაქმდა
მარტოხელა დედა **ანა ბალახაძე**, სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგად ქალთა ოთახის დახმარებით.

თეთრიწყარო

ქალთა ოთახის მენეჯერები **სვეტა დარჩიაშვილი** და **ნინო გუჯეჯიანი**

ქალთა ოთახში მუშაობის დროს ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა სოფლად მცხოვრებ ქალებთან შეხვედრები. სოფელ ენაგეთისა და სოფელ ჩხიკვთის მოსახლეობისთვის მეზობელ სოფლებში არსებულ საბავშვო ბაღებში ბავშვების გადასაყვანად, მუნიციპალიტეტის მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა ქალთა ოთახის ინიციატივით გახდა შესაძლებელი. ქალთა ოთახის გახსნის დღიდან მუნიციპალიტეტში აქტიურად ტარდება არაერთი ტრეინინგი და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი ხდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია და უფასო კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა ქალთა ოთახის საქმიანობის მიმართ. მათთვის როგორც უკვე ავღნიშნეთ არა ერთი სასწავლო პროგრამა განხორციელდა. შედეგებს შორის აღსანიშნავია ორი ქალბატონის და საქმების ფაქტი მუნიციპალიტეტში, რომელთაც გამოცხადებულ ვაკანსიებზე განაცხადი შეიტანეს ქალთა ოთახის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. მნიშნელოვანია ასევე შემთხვევა ქალთა ოთახის შეხვედრის დროს სოფელ ქოსალარში აზერბაიჯანელი ქალების თხოვნით მუნიციპალიტეტში გამოიძებნა საშუალება და დაიწყო ქართული ენის შემსწავლელი კურსის ფუნქციონირება.

ქალთა ოთახები

ერთ-ერთი მთავარი შედეგი რასაც მიაღწია ქალთა ოთახმა მუშაობის დროს არის მისი საქმიანობის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მხრიდან, ისინი გრძნობენ ქალთა ოთახის მნიშვნელოვნებას.

თეთრიწყაროს ქალთა ოთახის მენეჯერები
სვეტა დარჩიაშვილი და ნინო გუჯეჯიანი დანიშნენ ბრძანებით ამ საქმიანობის შესასრულებლად და ამ საქმიანობის თვის იღებენ ანაზღაურებას.

თეთრიწყაროს ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
ელექტრონულ ბაზაში დღევანდელი მონაცემებით არის 150 ქალი.

თეთრიწყაროს ქალთა ოთახის აქტივისტი ლიდერი ქალები:
ნელი ანსიანი, ნორა გურჩიანი, ლიანა დემეტრაშვილი.
ქალები მონაწილეობდნენ მისაქციელის შეხვედრაზე, მათ სკოლის პედაგოგებთან და ქალთა ოთახების მენეჯერებთან ერთად შეიმუშავეს და დაგეგმეს მოქმედების გეგმა.

თეთრიწყაროს ქალთა ოთახში ჩატარებული საქმიანობების შედეგად დასაქმდნენ:
ჩვენი ყოფილი სტაჟიორი ამჟამად დასაქმებულია ქალაქ თეთრიწყაროს N1 საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების პედაგოგად; ორი ქალი დასაქმდა მუნიციპალიტეტში, გამოცხადებულ ვაკანსიებზე რომლებმაც ინფორმაცია მიიღეს და განაცხადი შეიტანეს ქალთა ოთახის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ქალთა ოთახები

წალკა

წალკის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მენეჯერი **ნაზიბროლა კეკელიძე**

ყველა საქმიანობა რასაც ეწევა ქაკლთა ოთახი მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით სტაჟიორების პროგრამა რომელიც პირველად სწორედ წალკის ქალთა ოთახში დაიწყო და რომელსაც კარგი შედეგებიც მოჰყვა.

ქალთა ოთახები

16 დღიანი კამპანიის აქცია"ნარინჯისფერი მსოფლიო-შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ". რომლის ორგანიზატორიც იყო ადგილობრივი წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ფინანსურ მხარდამჭერები შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), "მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა" და მერსი ქორფსი. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება და დისკუსია. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, მასწავლებლები, უფროსკლასელები, გენდერული აქტივისტები და ადგილობრივი ქალები. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებმა დატოვეს ნარინჯისფერი ანაბეჭდები და ლოზუნგები ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აღსანიშნავად.

წალკის ქალთა ოთახის მენეჯერი
ნაზი კეკელიძეარის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი და მას დაევალა ქალთა ოთახის კურირება და ის ასრულებს მენეჯერის მოვალეობას მოხალისეობრივად.

წალკის ლიდერ ქალთა მონაცემთა ბაზა
შეყვანილია 100 ქალის მონაცემები

წალკის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახშის ლიდერი ქალები:
ნაირა მახარაძე, ნათია არტმელაძე, ნონა აბულაძე

წალკის ქალთა ოთახში ჩატარებული საქმიანობების შედეგად დასაქმდნენ:
ქალთა ოთახის სტაჟიორებიდან დასაქმდა **მზია თავართქილაძე, თამთა ართმელაძე, ნანა ვიბლიანი, ნაირა მახარაძე.**

ქალთა ოთახები

გამოწვევები და მიგნებები

აღიარება

მუნიციპალიტეტებში გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანებს პრიორიტეტულ თემად არ მიაჩნიათ ქალთა ოთახების ბენეფიციარები, ქალები და გენდერული საკითხები, თემა და მათი საქმიანობა კვლავ, სერიოზულად და მნიშვნელოვნად არ არის აღქმული გამგეობის/ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

გამოიკვეთა საჭიროება - "გენდერული თანასწორობა და ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში" მაღალი დონის ტრენინგის ჩატარების მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობისთვის.

მუნიციპალიტეტის ახალი სერვისის სახელწოდება „ქალთა ოთახი" არა ერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს მენეჯერ ქალებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაში: „ამ სერვისს, გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს ვიდრე სახელწოდებებიდან ჩანს ", „სახელწოდებას არა სწორი მიმართულებით მივყავართ. ამ ოთახებში გაცილებით მეტი კეთდება ვიდრე სახელწოდებიდან ჩანს", „ თუ შევცვლით კარგია, რადგან ეს არ გამოხატავს სრულად იმ საქმიანობას რასაც ქალთა ოთახი ეწევა. ის გაცილებით მეტია ვიდრე ქალთა ოთახი" და სხვა მსგავსი შეფასებები. სწორედ ამ გამოწვევის გადასაჭრელად კონკურსის საფუძველზე და მუნიციპალიტეტების გამგებლების მონაწილეობით შეირჩა ახალი სახელწოდება, ლოგო და ბანერი.

ცამეტივე მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მენეჯერები სხვადასხვა პროფესიების და უნარ - ჩვევების ადამიანები არიან. იმისათვის, რომ მათ შეძლონ და განავითარონ ქალთა ოთახების საქმიანობა კვლავ მნიშვნელოვანია მათი შესაძლებლობების განვითარება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობით. მაგალითისათვის ქალი მენეჯერებისათვის სასურველი იქნებოდა „მართვის შესახებ" სპეც კურსის გავლა.

ქალთა ოთახები

მდგრადობა

ზოგიერთი ქალთა ოთახის მენეჯერისთვის ქალთა ოთახში მუშაობა არის დამატებითი ფუნქცია და როგორც წესი ყველა მათგანი დაკავებულია სხვა მოვალეობებით მუნიციპალიტეტში, რაც ხშირ შემთხვევაში უშლის ხელს მათ, მთელი დრო და ენერგია დაუთმონ ქალთა ოთახებში მუშაობას.

მენეჯერებს ჯერ კიდევ კარგად არ აქვთ გაცნობიერებული საკუთარი ფუნქციები და როლი/ უფლება-მოვალეობა. მათ ჯერ კიდევ არ აქვთ საკმარისი ცოდნა გენდერის შესახებ, საჭიროებენ ქალთა საკითხების უკეთ გააზრება-დანახვას. ადამიანური და ფინანსური რესურების ნაკლებობა ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ქალთა ოთახებისათვის.

ქალთა ოთახების წარმატებული ისტორიები:

ნინოწმინდის ქალთა ოთახის ინიციატივით და ICCN -ს მხარდაჭერით მომზადდა სპეციალური სატრენინგო მასალა საჯარო მოხელეთა ატესტაციისთვის, რომელიც წარმატებით გაიარა 18 ქალმა და მიიღო სამსახური მუნიციპალიტეტში.

2015 წლის აგვისტო-სექტემბერში, ისრაელში MASHAV-ის საერთაშორისო პროგრამის „ინფორმაციული-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება მცირე ბიზნესის განვითარებაში“ მონაწილეობა მიიღეს ახალციხის, ახალქალაქის და ბოლნისის ქალთა ოთახების მენეჯერებმა. მიღებული გამოცდილების გაზიარება 13 მუნიციპალიტეტში მცირებიზნესის წარმომადგენელი ქალებისათვის.

ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პაატა ხიზანაშვილის ინიციატივით ადმინისტრაციაში საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მოეწყო ქალთა ოთახების ანგარიშების საჯარო მოსმენა, რომელსაც შემდგომში ყოველკვარტალური მოსმენების ხასიათი მიეცემა. გუბერნატრის გადაწყვეტილებით ქალთა ოთახების მენეჯერებთან საკონტაქტოდ დაინიშნა გენდერის საკითხთა მრჩეველი.

ქალთა ოთახები

ახალციხის გამგეობამ ქალთა ოთახის მუშაობის შედეგად შექმნა სოფლის სახლები სხვადასხვა სოფლებში.

ადიგენის ქალთა ოთახის მენეჯერის ინიციატივით და ICCN-ს მხარდაჭერით შეგროვდა ხელმოწერები დაბა ადიგენის მაღალმთიანი სტატუსის მისანიჭებლად და გადაეგზავნა პარლამენტის სპიკერს, ვიცე–სპიკერს და პრემიერ-მინისტრს. ეს აქტიურობა წარმატებით დაგვირგვინდა.

განათლებისა და სკოლების კომპონენტი
(მიმართულების ხელმძღვანელი ელენე ერისთავი)

„განათლებისა და სკოლების“ კომპონენტის მიზანი იყო გოგონებისთვის განვითარების შესაძლებლობების და ახალი ეკონომიკური პერსპექტივების შექმნა. ხელშეწყობა იმისა, რომ რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ, განსაკუთრებით გოგონებმა, განაგრძონ განათლების მიღება სკოლის დამთავრების შემდეგ, შეიძინონ პროფესია, შეიქმნან წარმატებული კარიერა და გაძლიერდნენ ეკონომიკური თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით ჩვენ მიერ გაწეული საქმიანობა ემსახურებოდა:

- ◊ სკოლებში გენდერული თანასწორობის გაღრმავებასა და გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნას;
- ◊ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის განათლების მიღებისა და პროფესიის დაუფლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- ◊ მოსწავლე-ახალგაზრდებში სწავლის შემდგომი გაგრძელების მიმართ ინტერესის გაღვივებას;
- ◊ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას.

ჩვენი კომპონენტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემო ქართლისა და სამცხე–ჯავახეთის ზოგადსაგანმანათლებოლო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეები (15 – 18 წლის გოგონები და ვაჟები).
მიმართულების თემისა და მიზნებიდან გამომდინარე, ძირითადი პარტნიორები იყვნენ აღნიშნული რეგიონების მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები.
პროექტის განხორციელებისას ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვქონდა პროექტის ორივე კომპონენტთან – ქალთა ოთახებთან და განათლების, კარიერისა და შესაძლებობების განვითარების ფონდთან.
ასევე, ვსარგებლობდით განათლების ადგილობრივი რესურს–ცენტრებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, რომელმაც წერილით გამოხატა მზადყოფნა დახმარების გაწევისა პროექტის შესახებ ინფორმაციის გავცელაბში რეგიონალური კოორდინატორების საშუალებით (იხ. დანართი 1)

„განათლებისა და სკოლების“ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა

- ◊ მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელებული აქტივობები:

- ✓ როგორც უკვე ავღნიშნეთ, მიმართულების თემისა და მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ძირითად პარტნიორებად მოიზრებოდნენ სამცხე–ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ხოლო უშუალო საკონტაქტო პირებად - სამოქალაქო განათლების მასწავლებლები. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლების საერთო რაოდენობა ორივე რეგიონში ძალიან დიდია, პირველ რიგში, გაკეთდა შერჩევა. ამ მიზნით განვახორციელეთ ვიზიტები აღნიშნული რეგიონების მუნიციპალიტეტებში. შევხვდით ადგილობრივი საგანმანათლელო რესურს-ცენტრების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო განათლების ექსპერტებს. გავაცანით მათ ჩვენი პროექტი და შევთანხმდით სკოლების შერჩევასა და შემდგომ თანამშრომლობაზე. ამ შეხვედების შედეგად გამოიკვეთა სკოლები, რომლებიც ჩვენი პროექტის პარტნიორებად შეიძლება მოგვეაზრებინა. მათი შერჩევა მოხდა ენობრივ/ეთნიკური მრავალფეროვნების, პედაგოგთა კვალიფიკაციის, განათლების რესურს–ცენტრებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების, პროექტში ჩართულობის სურვილის და ა.შ. მიხედვით (იხ. დანართი 2).
- ✓ განხორციელდა ვიზიტები პროექტის სავარაუდო პარტნიორებად შერჩეულ სკოლებში. ვიზიტების მიზანი იყო აღნიშნულ სკოლებთან უშუალო კონტაქტის დამყარება და მათი ინფორმირება პროექტის შესახებ. ასევე, მათი პოტენციალის გაცნობა და ადმინისტრაციისაგან პროექტში მონაწილეობასა და თანამშრომლობაზე თანხმობის მიღება. შევხვდით სკოლების

დირექტორებსა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს. გავაცანით პროექტი და დავურიგეთ ბუკლეტები ჩვენი პროექტის შესახებ. ვისაუბრეთ ადგილობრივად ქალთა და გოგონათა გაძილიერების შესაძლეობლობებზე. ასევე, დავათვალიერეთ სასკოლო გარემო და გავეცანით მათ რესურსებსა და შესაძლებლობებს. საბოლოოდ, ორივე რეგიონიდან, შეირჩა 31 სკოლა. უშუალო საკონტაქტო პირებიც (სამოქალაქო განათლების მასწავლებლები), შესაბამისად, აღნიშნული სკოლებიდან იქნა შერჩეული (პარტნიორი სკოლებისა და მასწავლებლების სია იხ. დანართი 3).

- ✓ შედგა გასაცნობი და საკონსულტაციო შეხვედრები საკონტაქტო პირებად შერჩეულ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან. შეხვედრების მიზანი იყო მასწავლებლებთან პირადი კონტაქტების დამყარება და მათი, როგორც ადგილებზე ჩვენი წარმომადგენლების, აქტიური ჩართვა პროექტის განხორციელებაში. დაწვრილებით ვისაუბრეთ ზოგადად პროექტისა და, კერძოდ, ჩვენი კომპონენტის მიზნების შესახებ. გავაცანით მათ ამ მიმართულებით დაგეგმილი საქმიანობები. შეხვედრების ბოლოს გამართული დისკუსიების დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს გენდერული თანასწორობისა და გოგონებისათვის განათლების მიღების შესაძლებლობების კუთხით სკოლებში არსებულ სიტუაციაზე და გამოთქვეს მზადყოფნა ჩვენთან თანამშრომლობაზე. შევთანხმდით, რომ გვექნებოდა სისტემატური კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა მომავალი საქმიანობის ერთობლივად დასაგეგმად და განსახორციელებლად.

- ✓ ჩატარდა საბაზისო კვლევა: „გოგონები და ქალები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში: განათლების, ეკონომიკური შესაძლებლოებებისა და პროფესიული არჩევანის პრობლემები და პერსპექტივები“. საბაზისო კვლევის მიზანი იყო პროგრამის ფარგლებში, სამივე კომპონენტის მიერ, განსახორციელებელი ინტერვენციების მიზნობრივად და ეფექტიანად დაგეგმვის ხელშეწყობა. კვლევაში გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

- ✓ აღნიშნული კვლევის ერთ-ერთი ნაწილი იყო „გოგონების განათლებისა და პროფესიული არჩევანის საკითხზე არსებული სიტუაცია, მონაცემები და განწყობები საქართველოში“, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელი იყო განათლებისა და სკოლების კომპონენტი. ამ მიმართულებით ჩვენს მიერ ჩატარდა: ა) სამაგიდო კვლევა, რომლის მიზანი იყო უფროსკლასელი გოგონებისათვის განათლების მიღებისა და პროფესიული (კარიერული) არჩევანის შესაძლებლობლობებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული სიტუაციის აღწერა და ანალიზი; ბ) ფოკუს ჯგუფები, რომლის მიზანი იყო გოგონების განვითარებისა და პროფესიული არჩევანის საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების განწყობების კვლევა (დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენი მიმართულების მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ იხ. დანართში 4).

- ✓ გენდერული თვალსაზრისით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეიქმნა სატრენინგო მოდული თემაზე: „გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი განათლებისა და განვითარების გარემო სკოლებში“. სამიზნე რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე მოდული შეიქმნა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. მოდულის შექმნისას გავითვალისწინეთ საბაზისო კვლევის მონაცემები. კვლევის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, გენდერული საკითხების (გენდერული თანასწორობა, სტერეოტიპები, გენდერული სოციალიზაცია და ა.შ.) გარდა, მოდულში შევიტანეთ ისეთი თემები, როგორიცაა ქალთა/გოგონათა უფლებები, ადრეული ქორწინება, გოგონათა შესაძლებლობების გაძლიერება და, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა კეთდება სახელმწიფოს მხრიდან გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად (სატრენინგო მოდული იხ. დანართში 5).

◊ სკოლებში გენდერული თანასწორობის გაღრმავებისა და გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

განათლებისა და სკოლების კომპონენტი

- 2015 წლის აპრილის, ივნისის და ივლისის თვეში, ჩვენი პორექტის საკონტაქტო პირებად შერჩეულ მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე: „გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი განათლებისა და განვითარების გარემო სკოლებში“. ტრენინგები ჩატარდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე ჩვენ მიერ, მოსამზადებელ ეტაპზე, შემუშავებული მოდულის მიხედვით. ტრენინგების მიზანი იყო სასწავლო პოცესში და კლასგარეშე საქმიანობაში სქესთა შორის თანასწოროების პრინციპების გატარებისათვის საჭირო უნარების განვითარება მასწავლებლებში. ტრენინგებს უძღვებოდა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ბერეკაშვილი. ტრენინგების ბოლო სესია დაეთმო სასკოლო აქტივობების დაგეგმვას. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მიმართულების ერთ–ერთი მთავარი მიზანი იყო გოგონებისთვის შეზღუდული კარიერული არჩევანის დაძლევისკენ მიმართულისაქმიანობები,გადაწყდა ამსაკითხისადმიმიძღვნილითემატურიგაკვეთილების ჩატარება სკოლებში. მასწავლებლებმა, ტრენერის დახმარებით, შეიმუშავეს გაკვეთილის სტრუქტურის ზოგადი მონახაზი. სათაურად შეირჩა - „გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი პროფესიული არჩევანი“. ტრენინგის ბოლოს მაწავლებლებს გადაეცათ სერთიფიკატები.

- ამავე პერიოდში (2015 წლის მაისი–ივლისი), პროექტის პარტნიორ სკოლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა უფროსკლასელებისათვის ჩაატარეს თემატური გაკვეთილები: „გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი პროფესიული არჩევანი“. ამ სასკოლო აქტივობის მიზანი იყო მოსწავლე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება გენდერული თვალსაზრისით რათა ისინი, პროფესიული არჩევანის გაკეთებისას, არ იყვნენ შეზღუდული გენდერული სტერეოტიპებით. თემატური გაკვეთილების მოდული შემუშავდა თავად მასწავლებლების მიერ ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და იმ თეორიული მასალის (ჰენდაუთების) საფუძველზე, რომელიც მათ ტრენინგის დროს გადავეცით. თემატური გაკვეთილები იყო ინტერაქტიული ხასიათის. მასწავლებლები შეეცადნენ სხვადასხვა სახის აქტივობებით – როლური და სიმულაციური თამაშებით, ვიდეორგოლების ჩვენებით და ა.შ. – თვალსაჩინო გაეხადათ მოსწავლეებისათვის, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცის უნარების, ქალისა და მამაკაცისათვის შესაფერისი პროფესიების შესახებ, უზღუდავს მათ საკუთარი მომავლის თავისუფალად განსაზღვრის, ინდივიდუალური განვითარების და პროფესიული წინსვლის პერსპექტივას.
- ჩვენი პროექტი, როგორც გენდერული პრობლემატიკის პროექტი, ჩაერთო ქალთა მიმართ

ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან საერთაშორისო კამპანიაში. 2014 წლის ნოემბერში დაიგეგმა სკოლებში ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება. ამ მიზნით წინასწარ განვახორციელეთ ვიზიტები პარტნიორ სკოლებში, სადაც შევხვდით სამოქალაქო განათლების მასწავლებლებსა (საკონტაქტო პირებს) და უფროსკლასელ მოსწავლეებს. მივაწოდეთ ინფორმაცია 16 დღიანი კამპანიის შესახებ და შევჯერდით სასკოლო ღონისძიებების ჩატარების თაობაზე. ასევე, გადავეცით საკანცელარიო პაკეტები, რომელიც მათ აღნიშნული ღონისძიებებისათვის საჭირო პოსტერების და სხვა ვიზუალური მასალის მომზადებაში დაეხმარებოდათ. ამის შემდეგ, ჩვენგან მიცემული ინსტრუქციის გათვალისწინებით, თითოეულმა სკოლამ მოამზადა და წარმატებით განახორციელა კომპანიისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მაგალითად: როლური თამაშები და პოსტერები ოჯახური ძალადობის თემაზე (სოფ. დამალა, პედაგოგი - მარინა ბროიანი); სემინარი ადრეული ქორწინების თემაზე (სოფ. რუსთავი, პედაგოგი - შორიენა ხიზაძე); მრგვალი მაგიდა და პოსტერები ძალადობის თემაზე (სოფ. აწყვიტა, პედაგოგი - ზეინაბ ივანიძე); ქუჩის აქცია, სადაც შეგროვდა ხელმოწერები (ასპინძა, პედაგოგი - თინათინ წითლანაძე) და ა.შ. მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 16 დღიანი კამპანიისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, გადაეცათ სერთიფიკატები. ასევე, სკოლების წარმომადგენლებისათვის, ჩატარდა შეხვედრა-სემინარები. სემინარისათვის წინასწარ მომზადდა პრეზენტაცია გენდერული დისკრიმინაციისა და ძალადობის თემაზე.

2015 წლის დეკემბერში, ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩვენ მიერ განხორციელებული ღონისძიებები მიეძღვნა ადრეულ ასაკში ქორწინების თემას. თემის შერჩევა განაპირობებული იყო იმით, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი პროცენტი ადრეული ქორწინების დაფიქსირებულია ქვემო ქართლში, კახეთში და სამცხე-ჯავახეთში, ხოლო ამ რეგიონებიდან ორი ჩვენი სამიზნე რეგიონებია. გარდა ამისა, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის ცობიერების ამაღლების აუცილებლობა ჩვენ მიერ ჩატარებულმა საბაზისო კვლევამაც გამოავლინა. აღნიშნული პრობლემის პრევენციის მიზნით, ჩატარდა რეგიონული საინფორმაციო შეხვედრები ჩვენი პარტნიორი სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლებისათვის. შეხვედრებს უძღვებოდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი გენდერული თანასწორობის საკითხებში, ქალბატონი სოფო რუსეცკი. შეხვედრებზე ქალბატონმა სოფომ ისაუბრა ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების შესახებ და უპასუხა აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს. შეხვედრების ბოლოს მონაწილეებს დაურიგდათ სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ გამოცემული საინფორმაციო ბუკლეტები ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციას შესახებ (საინფორმაციო შეხვედრების დღის წესრიგი და ანგარიში იხ. დანართში 6).

ასევე, ბოლნისის ქალთა ოთახში, შედგა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი საერთაშორისო კამპანიისადმი მიძღვნილი შეხვედრა–სემინარი. შეხვედრა სემინარის თემა იყო ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები. რომელთა შესახებაც ისაუბრეს (წარმოადგინეს ესსეები) კაზრეთისა და ბოლნისის საჯარო სკოლის უფროსკლასემა გოგოებმა.

◊ მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის განათლების მიღების და პროფესიის დაუფლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

✓ უფროსკლასელი მოსწავლეებიათვის განათლებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, შევადგინეთ საინფორმაციო კრებული - „საგანმანათლებლო პროფესიული შესაძლებლობების გზამკვლევი“. გზამკვლევში შევიტანეთ: ა) საქართველოში არსებული პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯების ჩამონათვალი. მოკლე ინფორმაცია მათ შესახებ და ვებ მისამართები, რათა დაინტერესების შემთხვევაში, უფრო დაწვრილებით გაეცნონ თუ რომელი კოლეჯი რა პროგრამებსა და პირობებს თავაზობს ახლაგაზრდებს; ბ) არაქართულენეოვანი ვებ პორტალების მისამართები, სადაც შესაძლებელია საერთაშორისო გაცვლითი და სასტიპენდიო პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება; გ) იმ ვებ გვერდების მისამართები, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ონლინ კურსების გავლა (გზამკვლევი იხილეთ დანართში 7).

✓ 2014–2015 წლის გაზაფხულზე, ჩვენ პარტნიორ სკოლებში, განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრებზე ჩვენი პროექტის წარმომადგენლები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები ესაუბრენ უფროსკლასელებს სწავლის შემდგომი გაგრძელების აუცილებლობაზე და, ასევე, განათლების მიღებისა და პროფესიის დაუფლების მხრივ საქართველოში არსებულ შესაძლებლობებზე. შეხვედრების ბოლოს მოსწავლეებს გადაეცათ ჩვენ მიერ შედგენილი „საგანმანათლებლო შესაძლებლობების გზამკვლევი“ (საერთო ჯამში, გზამკვლევი გადაეცა 3000–ზე მეტ მოსწავლეს).

✓ 2015 წლის 25 ოქტომბერს შედგა სამცხე–ჯავახეთში და ქვემო ქართლში ჩვენი პარტნიორი სკოლების უფროსკლასელებისა და მასწავლებლების ვიზიტი თბილისში, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში, გამართულ ღონისძიებაზე – „განათლების საერთაშორისო გამოფენა თბილისი 2015.“ გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები და საერთაშორისო ორგანიზაციები. მოსაწავლე ახალგაზრდობასა და მასწავლებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა პირადად გასაუბრებოდნენ მათ წარმომადგენლებს და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია საზღვარგარეთ სწავლის, სტიპენდიებისა და გრანტების მიღების, სტაჟირების და სხვადასხვა სასწავლო პროგრამების შესახებ.

განათლებისა და სკოლების კომპონენტი

◊ მოსწავლე-ახალგაზრდებში სწავლის შემდგომი გაგრძელებისა და პროფესიის დაუფლების მიმართ ინტერესის გაღვივების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

✓ 2016 წლის 20 თებერვალს, ქვემო ქართლში, ჩვენი პარტნიორი სკოლების უფროსკლასელებისა და მასწავლებლებისათვის, შედგა სასწავლო ვიზიტი კაჭრეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „აისში“, რომელიც წარმოადგენს ახალი ტექტნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ისინი შეხვდნენ და გაესაუბრნენ აღნიშნული კოლეჯის დირექტორს, მენეჯერს და პედაგოგებს, რომლებმაც მიაწოდეს ინფორმაცია კოლეჯში არსებული პირობების, პროგრამების და ჩაბარების წესების შესახებ. შეხვედრის შემდეგ დაათვალიერეს კოლეჯის ტერიტორია და მასზე განთავსებული ობიექტები: საერთო საცხოვრებელი, ბიბლიოთეკა, ხილ–ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო, ღვინის ლაბორატორია და მარანი, მეფუტკრეობის ფერმა, ხელოვნების სახლი, და ა.შ. ვიზიტორებს, თავიანთი დამზადებული კერძებით, გაუმასპინძლდნენ სასწავლებლის სტუდენტები, რომლებიც მზარეულის პროფესიას ეუფლებიან. ასევე, მოსწავლე–ახალგაზრდებსა და მასწავლებლებს, დაურიგდათ კოლეჯის მიერ დამზადებული საინფორმაციო ბუკლეტები.

✓ 2016 წლის 24–26 თებერვალს, ახალციხესა და ახალქალაქში, განხორციელდა სასწავლო ვიზიტები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტებში მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ რეგიონში ჩვენი პარტნიორი სკოლების უფროსკლასელმა მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა. მათ შეხვდათ ახალციხის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე და აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებლები, რომლებმაც ისაუბრეს უნივერსიტეტში არსებული პროგრამების, ჩაბარების წესებისა და პირობების შესახებ. მათ, ასევე, უპასუხეს აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს. ახალქალაქში გამართული ვიზიტის დროს განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს არაქართულენოვანი მოსწავლეების მშობლებმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ძალზე მოსახერხებელი იქნება თუ აღარ დასჭირდებათ სასწავლებლად შვილების გაშვება საქართველოს გარეთ. ვიზიტორებმა, ასევე, დაათვალიერეს ახალქალაქში ახლად აშენებული, კეთილმოწყობილი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი.

◊ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

✓ 2015 წლის ოქტომბრისა და ნოებრის თვეში, ჩვენი პარტნიორი სკოლების უფროსკასელი მოსწავლეებისათვის, ჩატარდა ტრენინგები თემაზე: „მოხალისეობა - გზა წარმატებისაკენ“. ტრენინგებს უძღვებოდნენ ჩვენ მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული ტრენერები: სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში - თინათინ მესხი (ა/ს ორგანიზაცია „Helping Hand”), ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში - ლელა მერაბიშვილი (ორგანიზაცია

"ACF Spain"). ტრენინგების მიზანი იყო ახალგაზრდების აქტიური ჩართვა თავიანთი რეგიონის, სოფლისა თუ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე, მათში მოხალისეობის კულტურისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა/წახალისება. ტრენინგების ბოლო სესია დაეთმო მოხალისეობრივი პროექტების შექმნასა და პრეზენტაციას. დაიგეგმა მოხალისეთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება. ტრენინს დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს გადაეცათ სერთიფიკატები (ტრენინგების მოდული, დღის წესრიგი და ანგარიში იხ. დანართში 8).

- ✓ 2015 წლის ნოემბრის ბოლოს მოხალისეებმა, წარმოადგინეს მოხალისეთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ჯგუფური პროექტები, რომლებიც აღნიშნულ დღეს, 5 დეკემბერს, ჩვენი მიმართულების მხარდაჭრითა და ხელშეწყობით, წარმატებით განახორციელეს სამცხე–ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში. მოხალისეთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები ვრცლად გაშუქდა ჩვენ მიერ Facebook-ზე შექმნილ ჯგუფში „მოხალისეები". ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და კრეატულობით. მაგალითად: ბორჯომში ჩატარდა ღონისძიება „მოხალისეობა გადამდებია", ასპინძის რაიონის სოფ. რუსთავში - „გაჩერება და არა ნაგავსაყრელი", ბოლნისის რაიონის სოფ. რატევანში - „შემოგვიერთდი", ნინოწმინდაში - „ოჯახი ძალადობის გაერეშე" და ა.შ. (მოხალისეების მიერ წარმოდგენილი პროექტები იხ. დანართში 9). მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების აქტიურად ჩაბმისა და წახალისების მიზნით გადაწყდა ღონისძიებაში მონაწილე გუნდების დაჯილდოება. კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდთან ერთად, თითოეული მუნიციპალიტეტიდან შეირჩა საუკეთესო პროექტები, რომელთა ავტორებიც დაჯილდოვდნენ პლანშეტებით (ე.წ. „ტაბლეტები"). დანარჩენ გუნდებს, მომავალი აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებად, საჩუქრად გადაეცათ საკანცელარიო პაკეტები.
- ✓ ჩვენი პარტიორი სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეები (დაახლოებით 80 ახალგაზრდა), სამუშაო/პორფესიული გამოცდილების მიღების მიზნით, ჩავრთეთ ქალთა ოთახების მიმართულებით ჩატარებულ კვლევაში - „სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში გენდერული თანასწორობის შესახებ ქალთა და გოგონათა დამოკიდებულების კვლევა". მათ, სათანადო ტრენინგის გავლის შემდეგ, 2016 წლის მარტისა და აპრილის თვეში, ჩაატარეს გამოკითხვები სამიზნე მუნიციპალიტეტების ქალაქებსა თუ სოფლებში და მიუხედავდ კითხვარის სირთულისა, წარმატებით შეასრულეს სამუშაო. კველვაში მონაწილეობის შედეგად ახალგაზრდებმა მიიღეს ინტერვიუერად მუშაობის გამოცდილება, რაც დღესდღეოთბით, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ მოთხოვნადი პროფესიაა.

◊ პროექტის დასკვით ეტაპზე განხორციელებული აქტივობები:

განათლებისა და სკოლების კომპონენტი

- ✓ 2016 წლის 22 ივლისს, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში, შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: USAID-ის წარმომადგენლები, სამცხე–ჯავახეთის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პროექტის ფარგლებში საგრანტო კონკურსის ბენეფიციარი მეწარმე ქალები, ქალთა ოთახების მენეჯერები, ჩვენი პარტიორი სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას გავაცანით ჩვენი პროგრამის შედეგები და მიღწევები. ასევე, ვისაუბრეთ რეგიონის წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ. შეხვედრა გამუქდა ადგილობრივი ტელევიზიის მიერ. შეხვედრის შემდეგ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა ვიზიტი საგრანტო კონკურსუს ერთ–ერთი ბენეფიციარი მეწარმის, მთვარისა გელაშვილის, სასტუმროში.

- ✓ 2016 წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვეში მისაქციელში, სასტუმრო „კაპილონში“, გაიმართა ორდღიანი სამუშაო შეხვედრები. შეხვედრებს ესწრებოდნენ ჩვენი პროექტის სამიზე მუნიციპალიტეტების სკოლების პედაგოგები (პარტნიორი სკოლების საკონტაქტო პირები), მეწარმე ქალები (საგრანტო კონკურსის ბენეფიციარები), ქალთა ოთახების მენეჯერები და ლიდერი ქალები. სამუშაო შეხვედრების სესიებზე მონაწილეები მუშაობდნენ მუნიციპალიტეტების მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში. მათ შეაფასეს პროექტის მანძილზე განხორციელებული საქმიანობები და, ასევე, შეიმუშავეს და პრეზენტაციების სახით წარმოადგინეს ერთობლივი სამოქმედო გეგმები (სამუშაო შეხვედრების დღის წესრიგი და პრეზენტაციები იხ. დანართში 10).

- ✓ 2016 წლის ოქტომბის თვეში . . . . .

◊ წარმატების ამსახველი ისტორიები:

- ✓ თანამშრომლობა განათლების და სკოლების კომპონენტის ინიციატივით და მონაწილეობით პროექტმა დაამყარა თანამშრომლობითი ურთიერთობა არაკომერციულ ორგანიზაცია „სიქასთან“ (საგანმანათლებლო ინიციატივების ქართულ ასოციაცია), რომელსაც გამოცხადებული ჰქონდა 2 თვიანი სატრენინგო კურსი ქალთა პროფესიული თვითრეალიზებისა და დასაქმების შესაძებლობების გაზრდისთვის. მოლაპარაკებების შედეგად ქალთა ოთახების მენეჯერებს დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის მუნიციპალიტეტებიდან საშუალება მიეცათ, ჩვენი პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, გაევლოთ ორთვიანი კურსი, რომელიც მათ საკუთარი პროფესიული უნარების განვითარებაში დაეხმარება. ტრენინგს უძღვებოდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენერები.

განათლებისა და სკოლების კომპონენტი

- ✓ თანამშრომლობა ადიგენის რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის, მათივე თხოვნით, შედგა შეხვედრა მწერალ დავით ტურაშვილთან. შეხვედრაზე ბატონმა დავითმა ისაუბრა ახალგაზრდებისათვის და განსაკუთრებით გოგონებისათვის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელების, განათლების მიღების და პროფესიის დაუფლების აუცილებლობაზე. მან, ასევე, პასუხი გასცა ახალგაზრდების მიერ დასმულ შეკითხვებს. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ ჩვენ მიერ შეძელნილი დავით ტურაშვილის წიგნები.

- ✓ ქალაქ რუსთავის მე-15 საჯარო სკოლის (ჩვენი პარტნიორი სკოლა) მეათეკლასელმა თეა გაჩეჩილაძემ, რუსთავის ქალთა ოთახში, ჩაატარა სემინარი თემაზე: „გენდერული ძალადობა ოჯახში“. თეა არის მოსწავლეთა 69-ე კონფერენციის სამართლის სექციის გამარჯვებული. მან მოიწვია თავისი თანატოლები, მშობლები და პედაგოგები. სემინარის ბოლოს გაიმართა დისკუსიები ოჯახში გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ამავე სკოლი სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ლია ღუღუნიშვილი.

- ✓ ჩვენი პარტნიორი სკოლების მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდის მიერ ბაკურიანში გამართულ საზაფხულო სკოლაში, სადაც მათ, დასვენების პარალელურად, გაიარეს სხვადასხვა სახის ტრენინგ-სემინარები. აღსანიშავია, რომ საზაფხლო სკოლაში ჩვენ მიერ მოწვეული იყო როგორც ქართული, ისე არაქართული სკოლების წარმომადგენლები, რაც მათი გაცნობისა და დაახლოების მიზნით გაკეთდა.

- ✓ სამოქალაქო განათლების მასწვლებლების ინიცატივით, უფროსკლასელებს ჩაუტარდათ ერთდღიანი ტრენინგები სხვადასხვა თემაზე, კერძოდ: დაბა კაზრეთის საჯარო სკოლაში (პედაგოგი ნინო ციმაკურიძე) ჩატარებული ტრენინგის თემა იყო „გენდერული თანასწორობა“; სოფ. ყარაჯალაში (პედაგოგი ნატალია ბექაური) - „სამუშოს მოძიებისათვის საჭირო უნარ–ჩვევები“, ხოლო სოფ. სათხის საჯარო სკოლაში (პედაგოგი შუშანიკ ანიკიანი) - „სამოქალაქო განათლება ჩვენ ცხოვრებაში“.

- ✓ Facebook-ზე შეიქმნა ჯგუფი „მოხალისეები“. ჯგუფის შექმნის მიზანი იყო სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ჩვენ მიერ მოხალისეებად დატრენინგებული ახალგაზრდების გაცნობა/დაახლოება, მათ მიერ განხორციელებული აქტივობების გაშუქება და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის ერთმანეთისათვის გაზიარება. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით „მოხალისეების“ ჯგუფში გაწევრიანებულია 200–მდე მოხალისე. ასევე, აღსანიშნავია, რომ ბორჯომელმა მოხალისეებმა, საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში მოხალისეობის პროპაგანდის მიზნით, გადაიღეს ვიდეორგოლი (ვიდეორგოლი იხ. დანართში 11).

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი
(მიმართულების ხელმძღვანელი ლიკა მარღანია)

პროგრამის საერთო მიზანი:

ქალებისა და გოგონების ჩართულობის გაზრდა და სარგებელი მათთვის საგანმანათლებლო, პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის გზით.

მთავარი ამოცანები:

2000 ქალი და 1000 გოგონა მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში აქტიურად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც თემის, ისე მუნიციპალიტეტის დონეზე, და
3000 ქალი და გოგონა 13 მუნიციპალიტეტში შეძლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას განათლების, ტრენინგის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების სფეროებში ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საფუძველზე.

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

რეზიუმე

ამ კომპონენტის მიზანია დაეხმაროს მოტივირებულ ქალებსა და გოგონებს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მათი დასაქმებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით. პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო, პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ფონდის მიერ გაიცა გრანტები მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალების გაძლიერების მიზნით მათთვის მცირე ბიზნესების დასაფინანსებლად და ხელშესაწყობად. პროგრამის ფარგლებში გრანტის სახით დაფინანსდა 13 ქალთა ბიზნესი 13 მუნიციპალიტეტში: 6 ქვემო ქართლსა და 7 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. საგრანტო თანხა შეადგენდა დაახლოებით 4000 ლარს. ამ თანხით განხორციელდა შესყიდვები გრანტის მიმღებთა მიერ წარმოდგენილი პროექტებისა და ბიზნეს-გეგმების შესატყვისად. ბიზნეს-იდეების შერჩევა მოხდა პროგრამის საწყის ეტაპზე და გარდა სხვა კრიტერიუმებისა, აუცილებელი მოთხოვნა იყო ქალი-ლიდერი. პროგრამის მიერ მოხდა ქალების წახალისება და შეიქმნა 2 კოოპერატივი („იმედი“ (თეთრიწყარო) და „ქვემო ქართლის ქალთა ინიციატივები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“ (ბოლნისი)).

ცხრილი 1. პროგრამის ფარგლებში გრანტები გაიცა შემდეგ ბიზნესებზე:

N	გრანტის მიმღები	მუნიციპალიტეტი, რეგიონი	ბიზნესის ტიპი	გრანტის მოცულობა (ლარი)	გრანტის მიზანი	გრანტის მიმდინარე სტატუსი
1	ლელა ბერიძე, კოოპერატივი რ/კ ხარება	სოფ.უდე, ადიგენი, სამცხე-ჯავახეთი	რძის შემკრები ცენტრი	3999.53	სამშენებლო მასალების შესყიდვა ახალი შენობის ასაშენებლად არსებული რძის შემკრები ცენტრის გაფართოების მიზნით.	შესრულებული
2	ლია დემეტრაშვილი, კოოპერატივი „იმედი“	თეთრიწყარო, ქვემო ქართლი	თხის ფერმა	3990.00	6 სპეციალური მერძევე ჯიშის შვეიცარული თხის ზანერის შესყიდვა არსებული თხის ფერმისთვის (25 სული თხა)	შესრულებული
3	გვანცა ჯოხაძე	გარდაბანი, ქვემო ქართლი	სასწავლო ცენტრი	3993.22	კომპიუტერების, პრინტერის, სხვადასხვა აღჭურვილობის, გამათბობელის, ავეჯის და საკანცელარიო ნივთების შესყიდვა არსებული ნაკლებ კომფორტულად მოწყობილი სასწავლო ცენტრისთვის.	შესრულებული
4	ფეფო რიჟამაძე	ასპინძა, სამცხე-ჯავახეთი	სილამაზის სალონი	3998.67	სამშენებლო-სარემონტო მასალების შესყიდვა არსებული მცირე სალონის გაფართოების და კეთილმოწყობის მიზნით.	შესრულებული
5	თინა გელაშვილი, კოოპერატივი „მთის სურნელი“	სოფ. ზველი, ახალციხე, სამცხე-ჯავახეთი	მეფუტკრეობის მეურნეობა	3974.72	არსებული თაფლის წარმოების გაფართოება დამატებით 34 სკის, პარაფინის და სხვა საჭირო მასალების შესყიდვით.	შესრულებული
6	ლიანა ჭელიძე	დმანისი, ქვემო ქართლი	ჟოლოს ბაღი	4000.00	ჟოლოს სპეციალურად შერჩეული ჯიშის ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და ღობის მასალის შესყიდვა ჟოლოს ბაღის მოსაწყობად.	შესრულებული
7	ამალია ურუმოვა	მარნეული, ქვემო ქართლი	კაფე-ჩაიხანა	3999.57	მაცივრის, სამზარეულოს მოწყობილობების - ჩაიდნის, ყავის მადუღარას, თეფშების, გაზქურის, ჭიქების, დანა-ჩანგლის, კოვზების და ა.შ. შესყიდვა პატარა ყავა-ჩაიხანის მოსაწყობად.	შესრულებული

8	არმენუცი ირიციან	ნინოწმინდა, სამცხე-ჯავახეთი	სილამაზის სალონი	3221.37	2 დეპილაციის აპარატის შესყიდვა კარტრიჯებით არსებული სილამაზის სალონის მომსახურების გასაუმჯობესებლად და ახალი სერვისის დასანერგად.	შესრულებული
9	მთვარისა გელაშვილი	სოფ. ქვაბისხევი, ბორჯომი, სამცხე-ჯავახეთი	საოჯახო სასტუმრო	3990.28	სამშენებლო-სარემონტო მასალების შესყიდვა არსებული საოჯახო სასტუმროს გასაფართოებლად და ახალი აგრო-ტურიზმის მომსახურების დასანერგად.	შესრულებული
10	ხათუნა სამხარაძე	რუსთავი, ქვემო ქართლი	სამკერვალო სალონი	3952.54	თანამედროვე ტიპის საკერავი მანქანების შესყიდვა	შესრულებული
11	მანანა ბოლქვაძე, კოოპერატივი „ბი ჯორჯია“	სოფ. გუმბათი, წალკა, ქვემო ქართლი	მეფუტკრეობის მეურნეობა	3990.00		შესრულებული
12	ლალი ხეცურიანი	ბოლნისი, ქვემო ქართლი	მარწყვის სათბური	4000.00		შესრულებული
13	დალი აღდგომელაძე	ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთი	ყვავილების სალონი	3977.65		შესრულებული

ბიზნესის მესვეურ ქალბატონებს ჩაუტარდათ რიგი ტრენინგები, რამაც მათ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიზნესის უკეთ დაგეგმვასა და მართვაში. იმისათვის, რომ გაზრდილიყო ბიზნესში ჩაბმული ქალებისთვის და გოგონებისთვის საჭირო ინფორმაციებთან და მუნიციპალურ სტრუქტურებთან ხელმისაწვდომობა, პროგრამამ ქალთა ბიზნესები შესაბამის მუნიციპალიტეტებში ქალთა ოთახებთან დააკავშირა. ასევე, პროგრამის ცნობადობის გაზრდის მიზნით, მოხდა ორ მიზნობრივ რეგიონში სხვადასხვა ბიზნესების ურთიერთ-გაცნობა და დაკავშირება. ქალთა ბიზნესები, მარკეტინგული განვითარების მიზნით, მუდმივად მონაწილეობდნენ გამოფენა-გაყიდვებში, რომელიც იმართებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პროგრამების ეგიდით. ბიზნესების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა მათი დაკავშირება სხვა პროგრამებთან, პროექტებთან, პოტენციურ დონორებთან (ცხრილი 1), რის შედეგადაც დამატებითი დაფინანსება პროგრამის მეშვეობით მიიღო 5 ბიზნესმა (მანანა ბოლქვაძე -წალკა, ლია დემეტრაშვილი - თეთრიწყარო, თინა გელაშვილი - ახალციხე, მთვარისა გელაშვილი - ბორჯომი, ლელა ბერიძე - ადიგენი).

ცხრილი 2. პროექტის დახმარებით ბიზნესების მიერ გავლილი ტრენინგები და ახალი დაფინანსების პოტენციური შესაძლებლობები

#	ბიზნესის დასახელება	ტრენინგის მონაწილე	ტრენინგის თარიღი, დასახელება და პროვაიდერი	ახალი დაფინანსების პოტენციური შესაძლებლობები (დამატებითი აქტივობები)
1.	სასწავლო ცენტრი გარდაბანში	N/A	N/A	1.სტარტაპ მარანი - საბავშვო ბაღის პროექტი მზადდება
2.	სამკერვალო სალონი, რუსთავი	N/A	N/A	N/A
3.	„ბი ჯორჯია“, მეფუტკრეობის კოოპერატივი წალკაში, სოფ. გუმბათი	1. მანანა ბოლქვაძე, დირექტორი, ID -52001014517, ტელ: 551 09 57 55	1. “აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში - ტრენინგი - ბიზნესგეგმის შედგენა;	1. ENPARD საქართველო (ენპარდი) - შეტანილია პროექტი ავტომობილის შესყიდვაზე, ფუტკრის ტრანსპორტირებისთვის, საერთო ღირებულება: 30 000 ევრო 2. ფერმერთა ასოციაციაში - იგივე პროექტი ავტომობილის შესყიდვაზე, ფუტკრის ტრანსპორტირებისთვის, საერთო ღირებულება: 25 000 ევრო
4.	„მთის სურნელი“, მეფუტკრეობის კოოპერატივი, სამცხე-ჯავახეთი, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ.. ძველი	1. თინა გელაშვილი, დირექტორი, პ/ნ: 47001001160; ტელ: 591411298 2. შალვა ზედგინიძე- 3. გიორგი ზედგინიძე 4. დარეჯან დიასამიძე 5. მანანა ზედგინიძე	1. 4-7 აპრილი 2016 წ. 11-14 აპრილი; ტრენინგები თემაზე: ფინანსური დაგეგმარების, ბიზნეს გეგმის შედგენა, მენეჯმენტის, მარკეტინგის; გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა; ტრენინგის პროვაიდერები: -ENPARD; Mercycorps; ICCN, GIPA; ABCD Georgia, Agroservise; 2. 17-18 მარტი; 29-30 მარტი; 7-8 აპრილი; 17-18 აპრილი; 21-22-აპრილი- სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი; ღირებულებათა ჯაჭვი, ფასები და ფასწარმოქმნა სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე; კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის თვისობრივი მეთოდები სოფლის მეურნეობაში; 3. 18 აპრილი 2016; აწარმოე საქართველოს პროგრამის ფარგლებში -ბიზნეს გეგმის შედგნა; მარკეტინგული გეგმის შედგენა; 4. 21 აპრილი, 2016 -სურსათის უვნებლობა და ბიოსერთიფიცირების შესახებ -ელკანა; 5. 24-25 სექტემბერი 2016-ბათუმი- ფუტკრის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები და პესტიციდების ზემოქმედება ფუტკარზე; USAID/REAP პროექტი-ქალთა და ახალგაზრდების საკუთრებაში არსებულ აგროსაწარმოთა განვითარების ხელშეწყობა.	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „მთის სურნელის“ მიერ საგრანტო კონკურსებში/პროექტებში მონაწილეობა: 1.მცირე ბიზნესის განვითარების საგრანტო პროექტი-USAD; ICCN; MercyCorps- დაფინანსდა 3973 GEL; 2.ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისთვის საქართველოში (ENPARD საქართველო) გადასულია მე-2 ეტაპზე, ელოდებიან ბიზნეს-გეგმების კონკურსს, (მიმდინარე წელი, აპრილი)-18500 USD 3.პროექტი-აწარმოე საქართველოსთვის-მეფუტკრეობის გაძლიერების პროგრამა, გადასულია მე-2 ეტაპზე (აპრილი, 2016)-14655 ლარი 4.კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა-ავსტრიის კოოპერატივების განვითარების ფონდის და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მხარდამჭერი პროექტი- 27200 ევრო + თანადაფინანსება-6000 ევრო, სულ 33200 EUR; 5.ჩაერთნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სახელმწიფო პროგრამებში, თანადაფინანსებით შეიძინეს სკები(83 ერთეული) 6.ავსტრიის კოოპერატივების განვითარების ფონდი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია-წარდგენილი აქვთ საგრანტო განაცხადი (მაღალტექნოლოგიური მეფუტკრეობის განვითარებისთვის). დამატებითი აქტივობები: 1.კოოპერატივის დირექტორი მიწვეული იყო გადაცემაში „ფერმერის საათი“- რეგიონული ტელევიზია-თინა გელაშვილის ინტერვიუ კოოპერატივების პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ, მეფუტკრეობის კოოპერატივების პოპულარიზაცია https://9arkhi.wordpress.com/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98/ 2.კოოპერატივი მონაწილეობას ღებულობდა კონფერენციაზე „ ქალის როლი ბიზნესში“ G4G 2 დღიან სემინარ- გამოფენაზე-EX-PO-GEORGIA,-ში, სადაც წარდგენილი ჰქონდა მეფუტკრეობის პროდუქცია (თაფლი) 3.კოოპერატივი გაწევრიანდა საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში (GFA). 4. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ თაფლის ნიმუში გაგზავნილი იქნა რიგის(ლატვია) საერთაშორისო დიაგნოსტიკურ ცენტრში BIOR-ში და ყველა კომპონენტზე (24 დასახელება) მივიღეთ დადებითი შეფასება და სურსათის უვნებლობის სერთიფიკატი. 5. კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ თაფლის ნიმუში გაგზავნილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში გასასინჯად(პასუხს ელიან)

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

5	მეცხოველეობის კოოპერატივი „იმედი“ და ამხანაგობა „ამალთეა“, თეთრიწყარო	1. ლიანა დემეტრაშვილი, ID – 01001021622 ტელ. 593 16 40 69, კოოპერატივის დირექტორი	1. ბიზნესის მართვა - პროექტი 2. „ფერმერი ფერმერისთვის“ - პირუტყვის კვება და მართვა სერიფიკატი 3. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმები 4. ცესკო - „თქვენი არჩევანი საქართველოში დემოკრატიის საწინდარია“ სერტიფიკატი 5. მცირე საწარმოს მართვა- ეკონომიკის სამინისტრო, სერტიფიკატი 6. „გენდერი იწყება ჩემგან“ - გერმანიის საელჩო - 29 მარტი- 10 დეკემბერი, სერტიფიკატები, უფლებადამცველი 7. „ბიზნესგეგმის შედგენა“ ALCP 8. ფინანსების მართვა ALCP 9. ინგლისური ენის კურსი - პროექტის ფარგლებში ქალთა ოთახში 10. არჩევნებზე დამკვირვებლის ტრენინგ-კურსი	1. ”აწარმოე საქართველოში” გრანტი - რძის ჩამოსასხმელი ხაზი - ულტრაპასტერიზატორი და მაცივარი - 10 000 ლარი 2. მერსი ქორფსი ALCP - მინისაწარმო სენდვიჩის პანელით - რძის და ყველის საწარმოებლად, შემფუთავი ხაზით - 70 000 აშშ დოლარი 3. სტარტ-აპ მარანი - ფერმერული მეურნეობის გასაფართოებლად (100 სული თხა მიწის შეძენა, საკვები ბაზა და მინი-საწარმო) 150 000 აშშ დოლარი 4.გერმანიის საელჩო - 100 სული თხა მიწის შეძენა, საკვები ბაზა და მინი-საწარმო - 25 000 ევრო 5. გერმაანიის საელჩო - თხების შეძენა+ ყველის შესაფუთი ხაზი - 16 000 ლარი
6	რკ „ხარება“ რძის შემკრები კოოპერატივი სოფელ უდეში, ადიგენი	1. ლელა ბერიძე, დირექტორი, ID – 47001001886, ტელ. 591 95 35 46 2. ცინარი ტივაძე, დირექტორი, ID – 47001032184, ტელ. 591 95 35 66 3. პავლე მერაბიშვილი, წევრი, ID – 03001002431, ტელ. 598 157 888	1. HACCP – 2016 წლის თებერვალი, REAP 2. ადიგენი - RED, Mercy Corps გენდერი 2. ორგანიზაციული მენეჯმენტი და კომუნიკაცია - ICCN/ Mercy Corps 3. მცირე ბიზნესის განვითარება - ICCN/Mercy Corps, 2014 წლის მაისი	
7	დმანისის ფერმერ ქალთა ჯგუფი, ჟოლოს ბაღი	1.ლიანა ჭელიძე, პ/ნ 15001017728; ტელ: 551 08 27 95 2.ბელა შარაბიძე, ტელ: 551 11 57 94 3.რუსუდან შარაბიძე	N/A	N/A
8	ქალთა კოოპერატივი, „ქვემო ქართლის ქალთა ინიციატივები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“ ბოლნისის მარწყვის სათბური	1.ლალი ხეცურიანი, პ/ნ 10001042678; ტელ: 551 06 69	N/A	1.ENPARD (ენპარდი) - პროექტის განაცხადი შეტანილია, სტატუსი მინიჭებული, კონკურსი მიმდინარეობს 2. „აწარმოე საქართველოში“ - ვარდების სანერგე/სანაშენე მეურნეობის პროექტი, პირველი ეტაპი გადაილახა, მოთხოვნილ ბიუჯეტს ამზადებენ 3. „დანერგე მომავალი“ - ამზადებს პროექტს 4. სტარტაპ მარანი - ამზადებს პროექტს შესატანად 5. სტარტაპების დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა- ამზადებს პროექტს შესატანად
9	ასპინძის სილამაზის სალონი	1.ფეფო რიჟამაძე, პ/ნ 05001006771 ტელ: 599 23 57 35	1.“აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში - ტრენინგი - ბიზნესგეგმის შედგენა; დარეგისტრირება სტარტაპებისთვის, ი/მ თუ შპს მიკრომეწარმე. 2.დაგეგმილია ტრენინგი: სტილისტის კვალიფიკაციის ამაღლება თბილისში, ერთ-ერთ სილამაზის სალონში	1.“აწარმოე საქართველოში“ - მცირე საგრანტო პროექტი, მეორე ეტაპზე გადავიდნენ. მზადდება მოთხოვნილი ბიზნეს გეგმა.

10	ახალქალაქის ყვავილების სალონი	1. დალი აღდგომელაძე, დირექტორი, პ/ნ 0700103913, ტელ: 593 90 17 16 2. ნანა ბროიანი, ტელ: 595 33 76 77	N/A	N/A
11	ნინოწმინდის სილამაზის სალონი, ი/მ	1. არმენუჰი ირიციანი, ტელ: 568 98 38 85	N/A	
12	ბორჯომი, ქვაბისხევი, საოჯახო სასტუმრო, ი/მ	1.მთვარისა გელაშვილი, პ/ნ 11001006828, ტელ: 599 91 16 09	1.ENPARD-ის ფარგლებში მიმდინარე ტრენინგებში მიიღო მონაწილეობა (პროექტის წერა, ბიზნეს-გეგმის შედგენა და ა.შ.)	1.ბენეფიციარი გახდა LAG (Local Action Group)-ადგილობრივი სამუშაო ჯგუფის წევრი ENPARD-ის ფარგლებში. 2. ENPARD-ში წარსადგენად მზადდება საპროექტო წინადადება აგროტურიზმის დარგში.
13	მარნეული, კაფე-ჩაიხანა, ი/მ	1.ამალია ურუმოვა, პ/ნ 62001005748, ტელ: 593 71 51 80	ტრენინგები თემაზე: ფინანსური დაგეგმარების, ბიზნეს გეგმის შედგენა, მენეჯმენტის, მარკეტინგის; გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა; ტრენინგის პროვაიდერები: ICCN	N/A

ქალთა ბიზნესებში, გარდა თვით გრანტის მიმღებებისა, დასაქმდა 22 ადამიანი, ხოლო მოხალისე ინტერნების რაოდენობამ ბიზნესებში 18-ს მიაღწია (ცხრილი 2). ინფორმირებულობის და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქალთა ოთახებთან ერთად ბიზნესების წარმომადგენლები დაესწრნენ ტრენინგებს კატასტროფების რისკის შემცირებისა და აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივების შესახებ, რამაც გააფართოვა მათი თვალსაწიერი და მათ ბევრი საჭირო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება შესძინა.

ცხრილი 3. დასაქმება და მოხალისეები ბიზნესებში

#	ბიზნესის დასახელება	ძირითადი შტატი (ბენეფიციარი)	დასაქმებული (სახელი, გვარი, საკონტაქტო დეტალები)	ინტერნი/მოხალისე (სახელი, გვარი, საკონტაქტო დეტალები)	შენიშნვა
1	სასწავლო ცენტრი გარდაბანში	1. ინდმეწარმე გვანცა ჯოხაძე, ID – 12001098403, მობ.: 551 09 09 25, გრანტის მიმღები, მათემატიკის მასწავლებელი 2. სოფო მაჭარაშვილი, ქართულის მასწავლებელი, ID -12001098401 3. მაია მჭედლიშვილი, კომპიუტერის კურსის მასწავლებელი 4. ლელა გორგოძე, ინგლისურის მასწავლებელი	1. ლელა გორგოძე, ინგლისურის მასწავლებელი ID-12001053821 2. ემა ნემსაძე, რუსულის მასწავლებელი (2016 წლის სექტემბრიდან) ხელფასი: 40 ლარი	1. მაია ჯოხაძე, ID -1201012055, მობ.: 577 99 85 03	ემა ნემსაძესთან მოლაპარაკება დასრულდა. ის სექტემბრიდან გაუძღვება რუსული ენის სასწავლო კურსს.
2	სამკერვალო სალონი, რუსთავი	1. ხათუნა სამხარაძე, დირექტორი	1. მარია კობალაძე, ID -35001079986 120 ლარი	N/A	
3	„ბი ჯორჯია“, მეფუტკრეობის კოოპერატივი წალკაში, სოფ. გუმბათი	1. მანანა ბოლქვაძე, დირექტორი, ID -52001014517, ტელ.: 551 09 57 55 სულ - 16 წევრი	1. იური ხმალაძე, მძღოლი, ტელ. 591 96 08 60, ID - 12001084351. ხელფასი 100 ლარი.	1. ზვიად ხმალაძე, ტელ. 591 96 08 80; ID - 61009007597 2. გოგა ხმალაძე, ტელ. 591 96 08 90	
4	,,მთის სურნელი“, მეფუტკრეობის კოოპერატივი, სამცხე-ჯავახეთი, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ,. ძველი	5 წევრი: 1. თინა გელაშვილი, დირექტორი, პ/ნ: 47001001160; ტელ: 591411298 2. შალვა ზედგინიძე- 3. გიორგი ზედგინიძე 4. დარეჯან დიასამიძე 5. მანანა ზედგინიძე	1. გიორგი ივანიძე, მძღოლი-პ/ნ.05001008751; ტელ:598097961 ხელფასი: 100 ლარი, თითო გადაადგილების დროს, სულ წელიწადში 400 ლარი და 4,5 კგ. თაფლი	სეზონურად თაფლის დაწურვის დროს დამხმარე(მოხალისე) 1. ნუნუ დიასამიძე, პ/ნ:05001005587; ტელ:595902650 თაფლი-4,5 კგ 2. ვაჟა კაჭკაჭიშვილი; პ/ნ 47001039816; ტელ.:595917123 თაფლი-4,5 კგ 3. ჟუჟუნა დიასამიძე-პ/ნ:05001007051; ტელ: 577647502 თაფლი-4,5 კგ	სეზონურად = ფუტკრის გადაადგილების დროს და თაფლის დაწურვის დროს
5	მეცხოველეობის კოოპერატივი „იმედი“ და ამხანაგობა „ამალთეა“, თეთრიწყარო	1. ლიანა დემეტრაშვილი, ID – 01001021622 ტელ. 593 16 40 69, კოოპერატივის დირექტორი 7 წევრი - „იმედი“ 2 წევრი - „ამალთეა“	1. გულიკო ელისაშვილი, ID –ტელ. 595 22 17 57 ხელფასი - 150 ლარი + ნატურალური პროდუქტები	1. გიორგი ბაღნაშვილი, ID – ტელ. 591 60 40 58	კოოპერატივი შეიქმნა პროექტს რეკომენდაციით

6	რკ „ხარება“ რძის შემკრები კოოპერატივი სოფელ უდეში, ადიგენი	1. ლელა ბერიძე, დირექტორი, ID – 47001001886, ტელ. 591 95 35 46 2. ცინარი ტივაძე, დირექტორი, ID – 47001032184, ტელ. 591 95 35 66 3. პავლე მერაბიშვილი, წევრი, ID – 03001002431, ტელ. 598 157 888	1. ბადრი ჩილინგარაშვილი, სეზონურად მძღოლი/რძის შემკრები, ტელ. 591 95 36 85 ხელფასი - 350 ლარი მინიმალური / გამომუშავებაზე 2. ოთარ ნადირაძე, სეზონურად დამხმარე საქმიანობაში/მშენებლობაში, ტელ. 598 82 83 08 ხელფასი - 350 ლარი მინიმალური / გამომუშავებაზე 3. პავლე ფეიქრიშვილი, მუშახელი მშენებლობაზე, მისამართი: სოფ. არალი, დღიური ხელფასი - 20 ლარი	1. ოთარ ბერიძე, ტელ. 599 765 048; ID - 47001002361 2. ილო საურიდი, ID – 47001001339; ტელ. 571 72 72 70.	
7	დმანისის ფერმერ ქალთა ჯგუფი, ჟოლოს ბაღი	1.ლიანა ჭელიძე, პ/ნ 15001017728; ტელ: 551 08 27 95 2.ბელა შარაბიძე, ტელ: 551 11 57 94 3.რუსუდან შარაბიძე	სეზონურად დაიქირავებენ ჟოლოს 2 მკრეფავს დღიურ გამომუშავებაზე, 20 ლარი-დღე	1.რომან დევნოზაშვილი 2.ვაჟა ნონიაშვილი 3.ილია ნონიაშვილი	დავაკავშირეთ დაბა წაღვერის კენკრის სანერგე კოოპერატივთან: ცირა გირიგალაშვილი - ტელ: 568 52 51 70
8	ქალთა კოოპერატივი, „ქვემო ქართლის ქალთა ინიციატივები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“ ბოლნისის მარწყვის სათბური	1.ლალი ხეცურიანი, პ/ნ 10001042678; ტელ: 551 79 06 69 2. ბესიკი ნინოშვილი, პ/ნ 3.კარინა ბეჟანიშვილი, 4.გრიგოლ მღვდელაძე, პ/ნ 10001042822 5. ნინო გაფრინდაშვილი, პ/ნ	1.თამაზ ციმაკურიძე, ტელ: 599 71 79 23 ხელფასი 150 ლარი	1.ეკატერინე მღვდელაძე 2.ნინო ციმაკურიძე	კოოპერატივი შეიქმნა პროექტის რეკომენდაციით. დავაკავშირეთ დაბა წაღვერის კენკრის სანერგე კოოპერატივთან: ცირა გრიგალაშვილი - ტელ: 568 52 51 70
9	ასპინძის სილამაზის სალონი, ი/მ	1.ფეფო რიჟამაძე, პ/ნ 05001006771 ტელ: 599 23 57 35	1.თეონა ჩილაძე, პ/ნ 05001011266; ტელ: 598 18 67 90 2.მარიკა ლონდარიძე, პ/ნ 05001010886; ტელ: 598 00 46 95 3.მარი ბერიძე, პ/ნ 05001011759; ტელ: 598 59 73 32 120-150 ლარი	1.ნათია რიჟამაძე, პ/ნ 05001002588;	
10	ახალქალაქის ყვავილების სალონი, ი/მ	1. დალი აღდგომელაძე, დირექტორი, პ/ნ 0700103913, ტელ: 593 90 17 16 2. ნანა ბროიანი, ID ტელ: 595 33 76 77	1.მაღაზიის გამყიდველი, ოვსანა ქოსიანი, პ/ნ , ტელ: 574 03 51 27 ხელფასი 70 ლარი	1.ვერა რაისიანი, კონსულტანტი 2. მიხეილ კოლიკიდი, კონსულტანტი	
11	ნინოწმინდის სილამაზის სალონი, ი/მ	1. არმენუჰი ირიციანი, პ/ნ, ტელ: 568 98 38 85	1.არმენუჰი თანგამიან, ეპილატორის აპარატის მომსახურე სპეციალისტი, პ/ნ 32001100920, ტელ: 597 01 27, ხელფასი 100-150 ლარი	1.შუშანიკ კალოიან 2.აიდე პოღოსიან	

12	ბორჯომი, ქვაბისხევი, საოჯახო სასტუმრო, ი/მ	1.მთვარისა გელაშვილი, პ/ნ 11001006828, ტელ: 599 91 16 09	1.ლიოვა ხაჩატურიანი, ტელ: 555 253146 2.გია აბშილავა, ტელ: 555 299130 3.ფრიდონი სვანი, ტელ: 551 16 07 26 ხელფასი დღიური 20 ლარი, ერთჯერად სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე	1.მალხაზ მაისურაძე, პ/ნ 11001006822, ტელ: 555 312 885	
13	მარნეული, კაფე-ჩაიხანა, ი/მ	1.ამალია ურუმოვა, პ/ნ 62001005748, ტელ: 593 71 51 80	1.ბარმენი 2.ჭურჭლის მრეცხავი	N/A	
			სულ: 22 დასაქმებული აქედან: 8 სეზონური (მუდმივად) 3 ერთჯერადი	სულ: 18 ინტერნი	

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

მომავალში ცამეტივე ბიზნესი გეგმავს გაფართოებას, რეინვესტირებას, ხოლო ზოგიერთი მათგანი შესაბამისი პროდუქციის ექსპორტზე გატანას (თაფლი- ახალციხე, თხის ყველი და რძე - თეთრიწყარო, ჟოლო და მარწყვი - დმანისი-ბოლნისი, თაფლი - წალკა). მოწოდებული მონაცემების მიხედვით, არც ერთი ბიზნესი არ არის წამგებიანი, მათ წარმოადგინეს ხარჯი-შემოსავლის და ხარჯი-მოგების შესახებ (Break-Even) ინფორმაცია. პროგრამამ იზრუნა ბიზნესების მესვეური ქალბატონების სამომავლო პერსპექტივებზე: მათ ჩაუტარდათ საკოორდინაციო შეხვედრები, სადაც დაგეგმეს თავიანთი ბიზნესების განვითარება. პროგრამის ფარგლებში მათ მიერ შეძენილი ცოდნა, უნარები, კონტაქტები, ქალთა ოთახის სერვისები, პრაქტიკული გამოცდილება და პროფესიული მიდგომები ის მექანიზმებია, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ პროექტების მდგრადობა.

მნიშვნელოვანი დამატებითი აქტივობა

იმისათვის, რომ პროგრამას გაეწია საჭირო დახმარება ქალებისა და გოგონების ბიზნესებისთვის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა პროგრამის განხორციელების პროცესში, გადაწყდა თანამშრომლობა უცხოელ კონსულტანტთან, ქ-ნ სანდრა ვილეტთან, რომელსაც Mercy Corps-მა გაუფორმა ხელშეკრულება 2015 წლის აგვისტოში, თუმცა პროგრამამ კონსულტაციის ვადის ამოწურვის შემდგომ თავად განაგრძო ამ მიმართულებით მუშაობა 2016 წელს და წარმატებულ შედეგებსაც მიაღწია. დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრების დროს განიხილეს ქალთა ბიზნესების შესაძლებლობები და მათი პროფესიული განვითარების პერსპექტივები და სწორედ აქ გაჩნდა იდეა ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობის განვითარებისა აგროტურიზმის მიმართულებით. ეს საკითხი დასახელდა, როგორც საკმაოდ მოთხოვნადი და მზარდი ბიზნეს-შესაძლებლობა ქალებისთვის, რომელთაც ოჯახიდან მოუწყვეტლად შეეძლოთ მიეღოთ დამატებითი შემოსავალი აგროტურიზმის მომსახურების შეთავაზებით ამ სპეციფიკური ტიპის ტურისტებისთვის, რომელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში. ამ მიზნით, ქ-ნ სანდრა ვილეტს დაევალა შეემუშავებინა აგროტურიზმის განვითარების სტრატეგია პროგრამის მიზნობრივი მუნიციპალიტეტებისთვის. სტრატეგია დაიწერა, ითარგმნა ქართულად და გამოიცა. გამოცემები დაურიგდა პროგრამის ბენეფიციარებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. სტრატეგიის დოკუმენტის საფუძველზე მომზადდა პრეზენტაცია, რომელიც წარედგინა ადგილობრივ ხელისუფლებას, გუბერნატორის ოფისებს, პროგრამის ბენეფიციარებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში. შედეგად, ერთ-ერთმა ქალთა ბიზნესმა - საოჯახო სასტუმრომ სოფელ ქვაბისხევში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, უზრუნველყო დამატებითი სერვისები აგროტურისტებისთვის, რომლის დემონსტრირებაც მოხდა 2016 წლის 22 ივლისს ახალციხეში ჩატარებული კონფერენციის შემდგომ, სადაც კონფერენციის თითქმის ყველა მონაწილე დონორის წარმომადგენლებთან ერთად მიწვეულ იქნა ამ საინტერესო და, იმავდროულად, სასიამოვნო ღონისძიებაზე.

პროგრამის ფარგლებში გაცემული ბიზნეს-გრანტების განხორციელებას მუდმივ მონიტორინგს უწევდა ბიზნეს-შესაძლებლობების კოორდინატორი და მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი. დეტალური ინფორმაცია ამ საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია შესაბამისი ანგარიშების სახით მისამართზე: www.iccn.ge და www.mercycorps.org .

პროგრამის საწყის ეტაპზე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები თითოეულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოხდა გრანტის მოსაპოვებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება და შედგომში, კონსულტაციები გრანტის მაძიებელ ქალბატონებთან, თუ რა დოკუმენტაციის წარდგენა იყო საჭირო საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. პროგრამაში შემოსული საგრანტო განაცხადებიდან და პროექტებდან შერჩეულ იქნა თითო პროექტი თითო მუნიციპალიტეტში, ანუ სულ 13 პროექტი. პროგრამის მიერ ბიზნესის პოტენციური გრანტის მიმღები ქალბატონებისთვის და ასევე, სხვა დაინტერესებულ პირთათვის, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „მცირე ბიზნესის განვითარება“, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა დასმწრე ქალბატონების თვალთახედვა და ბიზნესის საწარმოებლად საჭირო მრავალი უნარ-ჩვევა შესძინა მათ.

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

ქალთა ბიზნესების მოკლე მიმოხილვა / წარმატებული ისტორიები

1. ქალბატონ ლელა ბერიძის კოოპერატივმა „ხარებამ“ მაღალმთიან სოფელ უდეში, ადიგენის მუნიციპალიტეტი, პროგრამული გრანტის მეშვეობით გააფართოვა თავისი არსებული მცირე ბიზნესი (რძის შემკრები ვაგონი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა სურსათის უვნებლობის ელემენტარულ მოთხოვნებს) და რძის შემკრები ცენტრისთვის ააშენა ახალი საწარმოს შენობა, რომელიც დასრულების ფაზაშია და მალე შევა ექსპლუატაციაში. საწარმოს მშენებლობა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქალბატონმა ლელა ბერიძემ და მისი კოოპერატივის წევრებმა მიიღეს კვალიფიციური კონსულტაცია სურსათის უვნებლობის მოთხოვნების საკითხში და HAC-CP ტრენინგის გავლის შემდგომ, როდესაც REAP პროგრამის მიერ მივლენილმა ექსპერტმა მათ საჭირო ცოდნასა და რეკომენდაციებთან ერთად, საწარმოს სრული გეგმა გადასცა, რომლის მიხედვითაც დაიწყო მშენებლობა. ქ-ნი ლელა აქტიურადაა ჩაბმული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, ის და მისი მეუღლე დაესწრნენ ბოლნისში მარწყვის სათბურის უცხოელი სპეციალისტის მასტერ-კლასს, რომელიც პროგრამამ „ფერმერი ფერმერს“ უზრუნველყო. ქ-ნ ლელას ბიზნესი კვლავაც ფიქრობს გაფართოებას. პროგრამის მხარდაჭერით და მიწოდებული ინფორმაციების კვალად გრანტის მიმღები ქალბატონი გეგმავს დამატებითი დაფინანსების მოპოვებას, რათა გაზარდოს წარმოება, შექმნას ახალი პროდუქცია მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით და მოახდინოს თავისი ნაწარმოს ბრენდირება უკეთესი მარკეტინგული შესაძლებლობების მოძიების და ბიზნესის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. კოოპერატივის წევრების მიერ გავლილი ტრენინგების, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, საკოორდინაციო შეხვედრების შედეგად მიღებული ცოდნა და გამოცდილება ნამდვილად ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრები ქალბატონების თვალსაწიერის გაფართოებას, მათ პროფესიონალურ ზრდას და გაძლიერებას.

2. ქალბატონ ლია დემეტრაშვილის თხის ფერმა (კოოპერატივი „იმედი“) თეთრიწყაროში ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა წარმატების მიღწევა შეუძლია სოფლად მცხოვრებ მოტივირებულ, სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულ ქალბატონს. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ქ-ნმა ლიამ და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს ქალაქიდან სოფელში გადასახლებულიყვენ და იქ ფერმერული მეურნეობისთვის მოეკიდათ ხელი. მოაშენეს თხის ფერმა, დაიწყეს თხის რძისა და ყველის წარმოება. ქ-ნმა ლიამ ჩვენი პროგრამის მიერ გაცემული გრანტის დახმარებით თავის ფერმას 6 ზანერის მერძევე ჯიშის შვეიცარული თხა შესძინა, ნამატიც მიითვალა და შემოსავალიც გაზარდა. გაბედული ქალბატონი ამით არ დაკმაყოფილდა, მან პროგრამის ხელშეწყობით დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობები გამოიყენა და რძის ჩამომსხმელი და ყველის შემფუთავი მინი-საწარმოსთვის გრანტი მოიპოვა (ALCP, Mercy Corps). აქტიური ქალბატონი არ აკლდება ტრენინგებს, კონფერენციებს, გამოფენა-გაყიდვებს, სასოფლო-სამეურნეო

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

დღესასწაულებსა და ღონისძიებებს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. მან წარმატებით გამოიყენა პროგრამის მიერ უზრუნველყოფილი შესაძლებლობა - ქალთა ოთახებში გახსნილი ინგლისური ენის კურსები და საბაზისო ცოდნა შეიძინა.
ქ-მი ლია ხშირი სტუმარია პოპულარული გადაცემის - „ფერმერის საათი“. იგი არ ზარდება ჟურნალისტებს მოუთხროს თავისი წარმატებული ბიზნესის ისტორია. პროგრამის ხელშეწყობით ქ-ნმა ლიამ შექმნა კოოპერატივი და გაერთიანდა საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში, რაც მას მეტ შესაძლებლობებს მისცემს თავისი ბიზნესის გასაფართოებლად.
ამ ქალბატონის ისტორია სწორედაც რომ ეხმიანება ჩვენი პროგრამის მიზნებს - გაამლიეროს სოფლად ქალები და გოგონები, მისცეს მათ სასურველი მცირე ბიზნესის წარმოების შესაძლებლობები, დაეხმაროს ბიზნესის სწორად წარმართვაში, გაუხსნას ახალი მარკეტინგული შესაძლებლობები, უპასუხოს თანამედროვე ფერმერული საქმიანობის მოთხოვნებს, სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, გარემოსთან მეგობრული ტექნოლოგიების გამოყენებით განაახლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საქმიანად იზრუნოს ბიზნესის მდგრადობაზე, მის სიცოცხლისუნარიანობაზე, ექსპორტის საშუალებების გამოყენებაზე და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე.

3. გარდაბნის სასწავლო ცენტრს ახალგაზრდა, მოტივირებული გოგონა - გვანცა ჯოხაძე ხელმძღვანელობს, რომელმაც პროგრამის დახმარებით გააფართოვა, აღჭურვა და გააუმჯობესა თავისი ცენტრი და წარმატებულ ბიზნესად აქცია. გვანცა, რომელსაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროგრამის გრანტის მოპოვებამ, კვლავაც გეგმავს თავისი ბიზნესის გაფართოებას მისთვის ახალი სერვისის - საბავშვო ბაღის დამატებით. პროგრამა დახმარებას უწევს ახალგაზრდა გოგონას მოიძიოს დამატებითი დაფინანსების წყაროები. ჩვენი პროგრამის დახმარებით, გვანცა ჯოხაძის ბიზნესი ამჟამად უპირატეს პოზიციაშია, რათა ახალი გრანტებისთვის იბრძოლოს, რადგან მან სათანადო გამოცდილება, ცოდნა და უნარები შეიძინა.

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

4. ქალბატონ ფეფო რიჟამაძის სალონი ასპინძაში ჩვენს პროგრამაში ჩართვამდე მხოლოდ ერთი ადამიანის მომსახურებას უძღვებოდა, ფართის და საჭირო გარემოს არარსებობის გამო. დღეს მისი სალონი ყველასთვის ხელმისაწვდომია და ხარისხიან მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს სუფთა და სასიამოვნო გარემოში.
   გაფართოებული და გარემონტებული სივრცე მეტ მომხმარებელს მოიზიდავს და შესაბამისად სალონის მესვეურთა შემოსავალიც იზრდება. გრანტის მიმღები ქალბატონი წარმატებით უძღვება თავის მცირე ბიზნესს. პროგრამის ხელშეწყობით მან ახალი პროექტისთვის დაფინანსების მოძიება დაიწყო. მას სურს დაამატოს ახალი სერვისები არსებულ სილამაზის სალონს და გაუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. ქ-ნი ფეფო რიჟამაზე და მისი ქალიშვილი აქტიურად არიან ჩაბმულები პროგრამის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ისინი დამატებით ცოდნას, ინფორმაციას და გამოცდილებას ეზიარებიან.



5. ქალბატონი თინა გელაშვილი (მეფუტკრეობის კოოპერატივი „მთის სურნელი“, სოფ. ძველი) გამოცდილი მენეჯერია და წარმატებით უძღვება მეურნეობას სამცხე-ჯავახეთის ულამაზეს მაღალმთიან სოფელში. მის კოოპერატივს, რომლის წევრები ძირითადად ქალბატონები არიან (მათ შორის ერთი შშმ პირია) პროგრამამ 34 თანამედროვე სკა სხვა საჭირო მასალები შესძინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავალი. ქ-ნ თინას კოოპერატივი ცდილობს დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიებას და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კიდეც. მისი აქტიურობა ჩვენი და სხვა პროგრამების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, ტრენინგებსა თუ კონფერენციებში თვალსაჩინოა, რასაც მოწმობს მის მიერ 2016 წლის ოქტომბერში პროგრამის დასკვნით კონფერენციაში მონაწილეობა, სადაც მან პრეზენტაცია წარმოადგინა. ქ-ნ თინას ბიზნესი პროგრესირებს და შემოსავლის მატებასთან ერთად სამომავლო გეგმებიც იზრდება. უკეთესი მარკეტინგის მიზნით ქ-ნმა თინამ თავის პროდუქტს ბრენდი შეუქმნა და მის შესაბამის შეფუთვაზეც იზრუნა. ამ სახით მან წარმოაჩინა თავისი პროდუქცია G4G-ის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე, სადაც ასევე სასოფლო-სამეურნეო და სხვა ხელნაკეთი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა შედგა. ალპური ზონის თაფლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და მისი ცნობადობაც გაიზარდა.

6. ქალბატონი ლიანა ჭელიძე და მისი ფერმერ ქალთა ჯგუფი დმანისიდან წარმატებით უძღვება ჟოლოს ბაღს, რომელიც პროგრამის მიერ გაცემული გრანტით მოეწყო. პროგრამის მიერ შეძენილმა ნერგებმა და სარწყავმა სისტემამ მათი ბიზნესი მომგებიანი გახადა. ქ-ნი ლიანა და ჯგუფის სხვა წევრები სკოლის მასწავლებლები არიან. მათ შეითავსეს ბიზნესი და ერთად უვლიან ჟოლოს ბაღს. ისინი აქტიურად ესწრებიან პროგრამისფარგებში მოწყობილ ღონისძიებებს, საკოორდინაციო შეხვედრებს, კონფერენციებს და ტრენინგებს. დმანისის ქალთა ოთახში გამართულ ღონისძიებებს ინტერესით ადევნებენ თვალს და მონაწილეობას იღებენ. პროგრამის ფარგლებში მათ მიერ მიღებული ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება მათ ბიზნესის წარმატების საწინდარია. ქალბატონები ბიზნესის გაფართოებას გეგმავენ ჟოოს ნერგების გამრავლების გზით. წელს მათ პირველი მოსავალი მიიღეს და მომავალი წლიდან უკვე ახალ მარკეტინგულ შესაძლებლობებს მოიძიებენ.

7. ახალგაზრდა ქალბატონი, ამალია ურუმოვა მარნეულიდან გამოცდილი მენეჯერია. თუმცა, მისი პროექტი, რომელიც კაფე-ჩაიხანის მოწყობას გეგმავდა, მცირედი ცვლილებებით განხორციელდა. ქ-ნმა ამალიამ შემოსავლის გაზრდის მიზნით კაფე ზაფხულის სეზონზე ქობულეთში გადაიტანა დროებით. პროგრამამ მისი ბიზნეს-იდეა პერსპექტიულ ბიზნესად აქცია კაფისთვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შესყიდვით. თუმცა, პირველ ეტაპზე ახალი ბიზნესი მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა, მისი შემართება ვერ განელდა და იგი კვლავ ფიქრობს ახალ მარკეტინგულ შესაძლებლობებზე. მისი აქტიური მონაწილეობა პროგრამულ შეხვედრებსა თუ ღონისძიებებში სწორედ ამას მოწმობს. ქ-ნი ამალია დევნილია აფხაზეთიდან და მისი პროექტის მხარდაჭერა სხვა დატვირთვასაც ატარებდა.

8. ახალგაზრდა გოგონა, არმენუცი ირიციანი სილამაზის სალონის ბიზნესს უძღვებოდა, თუმცა მის სალონს ნინოწმინდაში აკლდა გარკვეული სახის მოთხოვნადი სერვისები, რომლის უზრუნველყოფაში მას პროგრამა დაეხმარა. დეპილატორის ორი აპარატი სალონის მომხმარებელს ხარისხიან მომსახურებას უწევს და ამისთვის ახალი სამუშაო ადგილიც შეიქმნა. არმენუცი ირიციანი დაესწრო პროგრამის საკოორდინაციო შეხვედრას მისაქციელში 2016 წლის აგვისტოში, ნინოწმინდის ქალთა ოთახის მესვეურებსა და სხვა ლიდერ ქალბატონებთან ერთად.

2016 წელს არმინე ირიციანის ბიზნესი დასახელებულ იქნა ბრინჯაოს პრიზიორად ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით „მოგება/ზარალის“ გათვალისწინებით.

9. საოჯახო სასტუმრო აგროტურიზმის განხრით ქვაბისხევში, ბორჯომთან ახლოს, 2016 წელს ახალ ტურისტულ სეზონს მასპინძლობს. პროგრამაში ჩართვამდე ენერგიული ქალბატონი მთვარისა გელაშვილი პატარა საოჯახო სასტუმროს უძღვებოდა. მის სასტუმროს ახალი მიმართულება - აგროტურიზმი და თანმდევი სერვისები პროგრამამ შესძინა. ასევე, გრანტის მეშვეობით ქ-ნმა მთვარისამ ძველი სასტუმრო განაახლა. 2016 წლის ივლისში მისმა სასტუმრომ პროგრამის ღონისძიებას უმასპინძლა, სადაც მოახდინა აგროტურიზმის სერვისების დემონსტრირება: თონეში პურის ცხობა, მდინარეზე დაჭერილი თევზის მომზადება, ჩურჩხელის ამოვლება, თაფლის ამოღება, ბაღჩაში ორგანული ბოსტნეულისა და ხეზე ხილის კრეფა, ყურძნის კრეფა, ოჯახის



გან. 6199-16NBR-0501
26.04.2016

არმენუჰი ირიციანის
დირექტორს
ა.ირიციანს

შეტყობინება
საწარმოს ეკონომიკური
რეიტინგის შესახებ

ნბრ

ქალბატონო არმენუჰ!

ოფიციალურად გატყობინებთ საქართველოს საწარმოების საყოველთაო სახელმწიფო რეიტინგების შემუშავების დასრულების შესახებ 2014-2015 წლების შედეგების მიხედვით.

სტატისტიკური რანჟირების შედეგებით თქვენი საწარმო აღყოფება:

რეიტინგი ბრინჯაო საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით "მოგება"ზარალი";

რეიტინგი ბრინჯაო სამცხე-ჯავახეთის საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით "მოგება"ზარალი".

მოცემული მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა თქვენი საქმიანობის სფეროში და უნდა იწვას დადასტურებული შესაბამისი ღირსების ნიშნებით, რომლებსაც მიიღებთ დაჯილდოების ოფიციალურ პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში ("ოფიციალური პროგრამული ღონისძიებები საუკეთესო საწარმოების დაჯილდოებისთვის", პროგრამები 1-3).

წერილის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში, გთხოვთ, მიმართოთ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საორგანიზაციო კომიტეტს და მიიღოთ სათანადო ჯილდოები თქვენთვის და თქვენი საუკეთესო თანამშრომლებისთვის, აგრეთვე თქვენი საწარმოს მარკეტინგულ-ეკონომიკური სტრატეგიის ლიდერის სიმბოლოკისა და სტატუსის გამოყენების უფლება.

დეტალური ინფორმაციისთვის თქვენი საწარმოს დაჯილდოების თავისებურებების შესახებ მიმართეთ - **ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საორგანიზაციო კომიტეტს თბილისში: (+99532) 205 42 70, (+99532) 205 42 77, (+995) 551 69 10 00** (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 – 18:00 სთ.).

პატივისცემით,

მაკა კუტუბიძე
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირი

საქართველო, თბილისი, 0168, ს.ფირცხის 12 (სანტრალის 32), ტ-5 სართ. ოფისი 10, აქსელის ბიზნეს ცენტრი

ტელ: (+99532) 205-42-70; (+99532) 205-42-77; (+995) 551-69-1000

www.nbr.com.ge office@unbr.com

ღვინოს დაგემოვნება და ა.შ. ქ-ნი მთვარისა პროგრამის ხელშეწყობით და რეკომენდაციებით ბორჯომის მუნიციპალიტეტში Mercy Corps-ის ახალი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი გახდა და ახალ საგრანტო კონკურსებში მიიღო მონაწილეობა, თავისი ბიზნესის გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად.

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

10. ქალბატონი ხათუნა სამხარაძე რუსთავში პატარა სამკერვალო სალონს ამუშავებდა, თუმცა მოძველებული და გაუმართავი საკერავი და საქარგავი მანქანები მას ხელს უშლიდა ხარისხიანი პროდუქციის შექმნაში. პროგრამის დახმარებით სალონი თანამედროვე საკერავი მანქანებით აღიჭურვა და მომხმარებელთა რიცხვმაც და შემოსავალმაც იმატა.

11. ახალგაზრდა ენერგიული გოგონა, მანანა ბოლქვაძე საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბათში. იგი სოფლის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მეფუტკრე ქალბატონები და გააფართოვა თავისი კოოპერატივი („ბი ჯორჯია“). პროგრამის დახმარებით მან სკები და სხვა საჭირო მასალები შეიძინა, რითაც გაზარდა შემოსავალი. მანანა ბოლქვაძე ეკო-მიგრანტია აჭარიდან. მიუხედავად იმისა, რომ მას წალკაში წარმატებული ბიზნესი ჰქონდა, მან მაინც გადაწყვიტა მშობლიურ აჭარას მიაშუროს, შემოიერთოს ადგილობრივი მეფუტკრე ქალბატონები და გააფართოვოს თავისი ბიზნესი. მან მოიძია დამატებითი დაფინანსებები პროგრამებიდან „აწარმოე საქართველოში“, „ენპარდი“ და სხვა გრანტის გამცემი ორგანიზაციებიდან, რითაც უზრუნველყო თავისი ბიზნესის მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა. იმ ცოდნამ, ინფორმაციამ და გამოცდილებამ, რომელიც მან არაერთ ტრენინგსა თუ კონფერენციაზე მონაწილეობით მიიღო, რგორც ჩვენი პროგრამის, ისე სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მას მეტი თავდაჯერებულობა შემატა. პროგრამის მიზანი, სწორედ ასეთი მიზანსწრაფული, შრომისმოყვარე და მოტივირებული ქალბატონების და გოგონების მხარდაჭერა და გაძლიერებაა, რომელთაც მუდამ აქვთ ინტერესი და სურვილი მიიღონ მონაწილეობა საგრანტო კონკურსებში და წარმოადგინონ თავიანთი პროექტები.

მანანა ბოლქვაძის პრეზენტაცია, რომელიც მან ერთ-ერთი ღონისძიების ფარგლებში მოამზადა ძირეულად ეხმიანება ჩვენი პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს.

აი, რას წერს მანანა: *„განათლება რომ მიმეღო, ბავშვებით ხელში დავდიოდი უნივერსიტეტში. დავიწყე მუშაობა სკოლაში. შევქმენი მცირე ფერმერული მეურნეობა. გავიარე მეფუტკრეობის შემსწავლელი თეორიული და პრაქტიკული კურსები. დავიწყე ჩემს ირგვლივ არსებული ნიჭიერი ქალების შემოკრება. დავიწყე საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების მსხვრევა ,,ქალის საქმე ოჯახისა და წეს-ჩვეულებების მორჩილებაა". ჩამოვაყალიბე 3 ქალისაგან შემდგარი ქალთა კოოპერატივი. მოვიძიე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დამწყებ მეწარმეებს აფინანსებდნენ. მივიღეთ დაფინანსებები. 16 ქალისაგან შედგება ჩვენი კოოპერატივი და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური, წარმატებული ორგანიზაციაა. ჩვენ ყველას დავუმტკიცეთ, რომ ჩვენ, ქალებსაც შეგვიძლია ვაკეთოთ საზოგადოებრივი საქმე და ვიყოთ წარმატებული“.*

12. ქალბატონი ლალი ხეცურიანი გამოცდილი მებაღეა. ბოლნისში, თავის ეზოში, მას უმრავი უცხო ხილი და მცენარე აქვს მოშენებული. პროგრამის დახმარებით მან მარწყვის სათბური ააშენა და მარწყვის ნერგები შეიძინა. პროგრამამ „ფერმერი ფერმერისათვის“ პროექტის ფარგლებში მისთვის სათბურში მარწყვის მოყვანის უცხოელი ექსპერტი უფასოდ მიავლინა. ამ მასტერკლასს პროგრამის სხვა ბიზნესების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ქ-ნმა ლალიმ პროგრამის რეკომენდაციით ქალთა კოოპერატივი ჩამოაყალიბა. ქ-ნ ლალის მარწყვი დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან გემოვნური თვისებების გარდა წელიწადში 9 თვე მსხმოიარობს.

ბიზნეს-შესაძლებლობების კომპონენტი

13. დალი აღდგომელაძის ბიზნეს-იდეა მართლაც წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ეს ახალქალაქში ერთადერთი ყვავილების სალონია, სადაც შეიძლება საუცხოო ცოცხალი ყვავილების ყიდვა, შეკვეთა და თაიგულის შეკვრა. ამაში მას ჩვენი პროგრამა დაეხმარა.

პროგრამის მიზანი ბიზნესის შესაძლებლობების და პროფესიული განვითარების კუთხით, მიღწეულია. პროგრამის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში დაფინანსებული ქალთა ბიზნესები წარმატებით ფუნქციონირებენ. ქალბატონებმა შეიძინეს მეტი თავდაჯერებულობა, მეტი ცოდნა, მეტი ინფორმაცია, მეტი გამოცდილება. პროგრამის ფარგლებში გავლილი ტრენინგები მათ ბიზნესის სწორად წარმართვაში ეხმარება. პროგრამის მეშვეობით დამყარებული კავშირები კი მათ დამატებითი დაფინანსების, ახალი გრანტების მოპოვებაში უწყობს ხელს. ისინი ზრუნავენ თავიანთი ბიზნესების გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე, ახალი

მარკეტინგული შესაძლებლობების გამოყენებაზე, ფიქრობენ თავიანთი ნაწარმის ექსპორტზეც. ამ ქალბატონების ქალთა ოთახებთან დაკავშირებით, პროგრამამ უზრუნველყო სინერგია და თანამშრომლობა. მათი ბიზნესების წარმატებასთან ერთად გაიზარდა პროგრამის ცნობადობაც. მცირე გრანტების მეშვეობით დაფინანსებული პროექტების მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა მრავალმხრივ არის უზრუნველყოფილი. ყოველივე ეს კი, ერთობლიობაში, მყარ საფუძველს ქმნის იმის დასადასტურებლად, რომ ქალბატონებისა და გოგონების ჩართულობამ ჩვენს პროგრამაში შედეგი გამოიღო.


ბენეფიციართა განაწილება გენდერის მიხედვით
30.30%
69.70%
0.00%
10.00%
20.00%
30.00%
40.00%
50.00%
60.00%
70.00%
80.00%
კაცი
ქალი

ბენეფიციართა განაწილება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით
0.80%
5.30%
25.50%
68.40%
0.00%
10.00%
20.00%
30.00%
40.00%
50.00%
60.00%
70.00%
80.00%
სხვა
აზერბაიჯანელი
სომეხი
ქართველი


ბენეფიციართა განაწილება ასაკის მიხედვით
55.10%
44.90%
0.00%
10.00%
20.00%
30.00%
40.00%
50.00%
60.00%
26 წლის ზევით
26 წლამდე

ICCN-ს საკონტაქტო ინფორმაცია:
მაჩაბლის ქ#5, თბილისი, 0105
ტელ: (995 032) 2923 920
ფაქსი: (995 032) 2939 178
ელ ფოსტა: info@iccn.ge
www.iccn.ge

ICCN contact information:
5 Machabeli Str; Tbilisi 0105, Georgia
Tel: (995 032) 2923 920
Fax: (995 032) 2939 178
E-mail: info@iccn.ge
www.iccn.ge

ანგარიშის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ICCN და მერსი ქორფსი. ის შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

The content is the responsibility of ICCN and Mercy Corps and does not necessarily reflect the view of USAID, the United States Government.

2015-2016